



ნანახულო



1913

სწრ ი ლ ი, № 4. მოზრდილთათვის.




საქართველოს



ს ა რ ჩ ე კ ი .

I—საქანელა, —სურ	1
II— * * * ლექსი, —ნ. ჩხიკვაძისა	3
III—გაზაფხული, —ი. კვდოშვილისა.	4
IV—მეგობრები, —ვ. თამროშვილისა.	13
V—მწყემსის სიმღერა, —ლექსი ღარაა ახვლედაძისა.	23
VI—უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი, — შოთხ- რობა ე. დურვილისა, (გაგრძელება) თარგ. შარამ ია- შვილასა	26
VII—ნეკრასოვი, —გ. ღ—ისა	36
VIII—ბავშვების ტირილი, —ლექსი ნეკრასოვისა (თარგ.) ი. კვდოშვილისა.	42
IX—რომანოვთა გვარეულობის 300 წლის იუბილეის გამო.	44
X—საქართველო, — რწმუნანი და ჩვეულებანი, (გაგრძე- ლა) შ. ჟანაშვილისა.	55
XII—გასართობი: შარადები, რებუსი და აღსნა	63



294

* * *

მოციმციმე გაზაფხული,
ზურმუხტ ფერად მოქარგული,
შეგობრებო, ისევ დადგა;
მთა გაბრწყინდა გოლგოთისა,
და მოძღვარი სიმართლისა
ქრისტე აღზდგა! ქრისტე აღზდგა!

ნ. ჩხიკვაძე.



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.

(უძღვნი თამარ ლომოურს).



ილის მზე ჯერ არსადა სჩანდა, მაგრამ მისი სხივები-კი ქვევიდან უკვე ელამუნებოდნენ კავკასიის მთის მწვერვალს. ეს ოქროს სიმები მისი წინამორბედნი იყვნენ, მისი ელჩები, და მართლაც პატარა ხანს შემდეგ გამოჩნდა ოქროს რკალიც-რომელიც თანდათან იზრდებოდა, ღვივდებოდა ცეცხლივით და მალე მთლად გაელვარებული ოქროს მრგვალი ჯილა აღზარტა მთის მწვერვალზე. ის აქ ერთ წუთს შედგა, დაფიქრდა, მაგრამ, თითქოს არ მოეწონა მთის გუმბათის თეთრი თოვლის კვარცხლბეკიო, აუცურდა ცის ტატნობს და წავიდა დინჯად, დარბიისლურად მალა, მალა; სხივები-კი დააქანა მთის მკერდზე, ბარისაკენ და აქ გადააფინა გულზე დედის წას...

„წკრრრ... წკრრრ... თქაფ... თქაფ... ჩხრრ!..“

ამღერდა მთა და თვის სიმღერაში მოსთქევადა, რომ

„გაზაფხულსა პირზე ღიმი
უქრიალებს, უთამაშებს,
ძირს სიცოცხლე, ძირს განგაში...
მალა ცაზე მზე კაშკაშებს!“

მეც—მთას, ყინვით შებოქვილსა,—

ვადმეშალა ლალი გული,

ბარისაყენ მიიმღერის

ჩემი გრძნობა, სიყვარული.

წყარ, წყარ... თქაფ... თქაფ...

ჩახრიალა! ჩახრიალა!

ამამღერა და ამღერდა

ვახუშტის ძალთა-ძალა!

ქედებს მწვანე აუფეთქდათ;

კონცხზე ჯიხვი ვადმომდგარა;

არწივმა რომ ფრთა გაშალა,

ველზე ჩრდილი გაატარა!

შენ, „ქორბუდაე“^{*)}, ზამთრობით რომ

გამირბიხარ ქვევით ბარში—

ახლა ჩემკენ გამოსწიე,

თავი ჩადე ჩემს კალთაში.

„ბეე... ბეე... ბეე... ბეე...“

მიიმღერის ჩემკენ ფარა,

არეული მაყრული აქვთ,

ლამაზი და წარამარა!

წყარ... წყარ... თქაფ... თქაფ...

ჩახრიალა! ჩახრიალა!

ვაშა! ვაშა! ოხ, იკურთხოს

ვახუშტის ძალთა-ძალა!

მღეროდა მთა, მღეროდა ისე, რომ არამც თუ ძირს—
 ბარს, —შალდა მხესაც-კი ესმოდა მისი სიმღერა, მისი გუ-
 ლის ცემა.

მაგრამ რას შერებოდა ამ ღროს ბარი?

ბარი არა ნაკლებ ზეიმში იყო პირ-იქით, ის თითქოს

*) ქორბუდა — მამა-ირემი.



ეჯიბრებოდა მთას და ერთსა და იმავე დროს გულს ნახლას-
სებდა მისი სიმღერით.

„სალამი, სალამი, მთის ნიაგო, სალამი, მზის შუქურა
სხივებო, ფეხები გამითბა, გულმაც გამოიღვიძა, თავი მოვი-
ქოჩრიანე, მკლავები გავკვიმე და ჩაეხლართ-ჩაეიხვიე, ოქროს
ძაფები ყლორტებში.“

მოსთქვამდა ალტაცებით იასამანი, იზრდებოდა ფუნთუ-
შა, ლოყებ-დაწითლებულ ბავშვივით და თვის ფერად მტეე-
ნებს არწევდა აქეთ-იქით. მტეენებზე-კი პატარ-პატარა, პი-
რის-ფერ, ჯვარედინ ყვავილებს უხსნიდა გულს, საიდანაც
მოისმოდა ნაზი და წყნარი ხმა.

„ჩვენ ეუთუნა თვალები გვაქვს,
მწვანე ფოთლის სამოსელი,
ნაზი ძირი, ნაზი ყლორტი,
დილის ნამით სველის-სველი.
ძრიელ ხშირად მოსაწყვეტად
გვესტუმრება ხოლმე ხელი,
გაზაფხულის ყვავილი ვართ,
სასურველი, სანატრელი!“

„ეჰე, რა ტკბილი ჰანგებია!“ გაიკვირვა ამ დროს ზამზახმა,
და ნელ-ნელა გადასწ-გადმოსწია აქეთ-იქით თვისი ზამთრის
საბანი, — აფხვიერებული მიწა, ამოაქანა თითის სისხო ყლო-
რტი, გაშალა ორ ფოთლად და მათ შუა ამოაფეთქა ლურ-
ჯი, ნაზი ყვავილი, როგორც ეს გუმბათზე ლურჯი, პაწია
ღრუბელი. ყვავილი ჯერ შეფიქრიანდა, თითქოს არ სჯერო-
და თვისი გაცოცხლება, თვისი ბედნიერება. მაგრამ, როდ-
ესაც დაინახა, რომ თეთრი, პაწია ენძელა მის ფეხებთან წა-
მოიქცა, მოსწყდა თვის ღეროს და მომავლდავი გამოეთხოვა
გაზაფხულის პირველ ღიმილს: ზამზახმაც მას შეშრილებით



სიყვარულის რამდენიმე ნაპი დაჰკრა მიშქრალ სახეზე და იმღერა:

„მშვიდობით შენ, ენძელო,
 სიკოცხლე დაგეძველო,
 თოვლის ქვეშ კარგად ჰყვოდო,
 მაგრამ მზე გაგეძნელო.
 ნუ გეშინიან, დაიავ,
 არ ჰკედები შარტო ხელო:
 თან გამოგყვება იასა,
 ახლა მისთვისაც ცხელო!
 არც ჩემი ბედი შეგ'შურდეთ:
 მეც ამიტყდება ხველო;
 ცოტა ხნის შემდეგ წამოვალ
 თქვენკენ მეც ნელა-ნელაო.“

„ტუური—ნუ-ნი-ნუ-ნი... ტუური—ნუ-ნი-ნუ-ნი“... შეუხმატკბილა ამ დროს ვიღამაც სტიური ტყის პირიდან და შეაქანა წამოსხმული თეკა, რომელსაც ბეწვი-ბეწვზე ჩამოსცივდა ძირს. „ტუური ნუ-ნი-ნუ-ნი,“—არ სცხრებოდა მესტიერე, მალი-მალ შეიქნედა ხოლმე ისევ თეკას და ნიავს ატანდა მის ბეწვს.

ეს იყო ჩვენი მელიკო, ჩვენი ციმფია მელიკო, რომელიც ხან უღვაშებს აიწვევდა ზევით და შიგ ჩაჰმალავდა ეშმაკ თვალებს, ხან გადაჰხედავდა თვის ზაშორის ქურქს, რომელიც იქუცებოდა, იცრიცებოდა, იცლებოდა ზაშორის ბეწვისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ახალი ბეწვი მოსდევდა ძველს და ახალი საგაზაფხულო ქურქით იმოსებოდა.

„დაუეარ, ჩემო ქამანჩავ,
 ქოჩორა ქათმის ძელოსაო,
 ქურქო, აღარა გიშავსრა,
 ასკდი მწვევრების კბილსაო;“



მადლობელი ვარ თავისა,
 მადლობელი ვარ ცისაო,
 ქათამ-ბატინდოურებსა
 ბებია დამიზღისაო!

ტური—ნუ-ნი, ნუ-ნი,“—მოსტკვამდა მელიკო ყოველი
 ბეწვის ჩამოვარდნაზე.

—ნათლია ღმერთმა მიცოცხლოს, ღმერთმა სიმხიარუ-
 ლე ნუ მოუშალოს!—მიესალმა მელიკოს ბუჩქიდან გამომტა-
 რი კურდღელი და უკანა ფეხებზე შემდგარმა წინა ფეხები
 ააყოლა მელიკოს სტვირს.

—ააა!—მიუგო ალტაცებით მელიკომ, —მადლობა ღმერთს,
 მშვიდობით გნახე; გენაცვა, შენც, გეტყობა, სააღდგომოდ
 ქურქს იახლებ; მერე როგორ გშვენის ხოლმე ახალი ქურ-
 ქი!—შეაქო ცბიერებით მელიკომ.

—ღიახ, გენაცვა, გაზაფხული ხომ ჩვენი აღდგომაა:
 სიმხიარულე გვმართებს, სიმღერა, თამაში... აი, ახლა ძლივს
 გავითბე ზამთრისაგან დახუთული ფეხები.

—მეც შენს დღეში ვიყავ, ჩემო ძვირფასო, აქნობამდე;
 ახლა ფეხი ძლივს გამოვდგი ჩემ სოროდან გარედ და ისიც
 მხოლოდ იმიტომ, რომ იქნებ სოფლის განაპირას ყვითელი
 ბატის ქუეკები და ქათმის წიწილები დავინახო მეთქი. ხომ
 მოგეხსენებათ: გაზაფხულია, ჩვენი აღდგომაა; გულს ფერადი
 რამეს ნახვა ესია მოვნება!..

—ავი კაცი აღდგომასაც ავია, —ჩაილაპარაკა კურდ-
 ლელი და ფეხებით პირის წმენდა დაიწყო, რომ მოძველე-
 ბული ზამთრის ბეწვი ჩამოეწმინდა.

„შრრრ... შრრრ“...—დაიშრიალა ამ დროს მწვანედ
 აყვავებულმა შინდმა და თეთრად გადაპენტოილმა ტყეშალმა.
 მთიდან ნიავე წამოვიდა; აქა-იქ ქედებიდან აიზლაზნა მიძინე-
 ბული ნისლი და წაევიდა მალლა, მთის წვერისაკენ. ცაზე მა-
 ლე ღრუბლები აირივნენ. დედამიწას ჩრდილმა დაჰკრა, რად-



განაც ამ ერთი წუთის წინედ კაშკაშა მზეს აშხედრებულ ღრუბლები შემოეხვივნენ გარშემო. ახლა მზის სხივები ველარა სწვდებოდნენ დედამიწას. ისინი ღრუბლებში ჩაეშენენ შუბის წვერებივით, თითქოს აქ შეება ორი მოსისხლე მტერი ერთმანეთს.

„შრრრ... შრრრ“... — დაიშრიალა კიდეე მთის ნიაემა, შიარწ-შიარწია ელორტებ-აყრილი ტყე და რამდენიმე მსხვილი წვიმის ცვარი დაეცა ძირს. ერთ წუთს ყოველივე ხმაურობა მისწყდა, თითქოს ცას შიაპყრო დედამიწამ თვალი: აცა, რას აპირებსო... ის გაინაბა, სული გატრუნა და ამ სიჩუმეში მოისმა უცებ ცაში გაზაფხულის პირველი გრგვინვა. გრგვინვის ტალღა ჯერ გაუბედავი იყო, მაგრამ თან-და-თან მატულობდა, თან-და-თან იზრდებოდა, სწევდა ხმას ზევით, მაღლა, მაღლა, და, თითქოს უკანასკნელად მოთმინება დაკარგულმა, უცებ დაიკეჭა. შორს, შორს ჩაშავებულ მთის მწვერვალებზე ელვამ გაპკრა, ერთ წამს წამოუბერა მძლავრმა ნიაემა და კოკის-პირული წვიმა დაეშვა დედამიწაზე.

„შრრრ“... გაიქროლებდა მძლავრი ნიაევი, შიარხვე-შიარხვედა წვიმის სვეტებს, მას მოჰყვებოდა იგივე გრგვინვა შალლა-შალლა წასული და უკანასკნელი განრისხებული კეჭა.

დედამიწა თრთოდა, ლელავდა: შინდ-ტყემლით აფერადებული ტყე ხან ერთმანეთში ხლართავდა ტრატებს, ხან დედამიწას გაეკვროდა, ხან-კი, ფეხზე წამომდგარი, თვალს შიაპყრობდა ხოლმე ცას, კვლავ გრგვინვა-ქუხილის მოლოდინში.

არა ნაკლებ ლელავდა მწვანე ზღვა გაზაფხულისა — ხვევრდ-დაკრული შინდორი. ჯეჯილის ტალღა ხან აქ დაპკრავდა, ხან იქ; ხან მთლად გაწვებოდა დედამიწაზე, თითქოს ჰკოცნიდა თვის აღმზრდელ დედას; ყაყაჩო-კი, წითელი ყაყაჩო, პაწია ნაევივით, ხან ტალღებში მიიმაღლებოდა, ხან წითელი აფრით კვლავ გამოჩნდებოდა მწვანე ზღვის ზვირთებზე.

მაგრამ მთა?! მთა მთლად გააფთრებულიყო. მისი ხევე-



ბი დაქრილი ლომივით ღრიალებდნენ, მოაქანებდნენ, საკენ ღვართქაფს და უშველებელ ლოდებს ტაშივითა სცემდნენ ერთმანეთს. მის მწვერვალზე-კი შავი ღრუბლები ერთმანეთში ირეოდნენ, იხლართებოდნენ და ათასნაირ კოშკებს აშენებდნენ.

„შრრრ“...—გაიმეორა ნიაემა. კიდევ შრიალი და, თითქოს ეს ნიშანი ყოფილიყოს ცა და მიწის შერიგებისა, წვიმის ნაკადულები უცებ შესწყდნენ; დიდრონი ცვარები პატარებად შეიცვალნენ; თანდათან მათაც უკლეს და ერთი წუთის შემდეგ მხოლოდ თითო-ოროლა მარგალიტის მძივე-ბივით-ლა ეცემოდნენ ძირს.

ღრუბლების ქარავანი ცაზე გაიფანტა, დასწყდა ნაქერ-ნაქერ და თანდითანობით მიიშალა, თითქოს ჩაღნა, ჩაიწურა ცის უძირო წიაღშიო; და კვლავ ძირს დაეშვნენ ისევ კაშკაშა შვის სხივები.

მთა დამშვიდებულ გმირივით დასცქეროდა ბრძოლის ველს; აღარსად სჩანდნენ მისი შავი ფიქრები—შავი ღრუბლები. ნაზი ნისლი კი ფართატით გადადიოდა ქედთა შუა და აქ წვებოდა, აქ კვლავ იძინებდა. ხეების ღრიალი ჩაბრიალას სიმღერამ შესცვალა და ცისარტყელამაც გადაადგა დედამიწას თვისი აფერადებული რკალი.

ირგვლივ მთასა და ბარში, ტყეში და მინდორში—აღმასის წვეთები ბრჭყვიანობდნენ შვის სხივებზე. ახლად აყრილ ყლორტებს წვიმის ცვარები გარს ებგვოდნენ ლამაზ კრემლებად; ყლორტები-კი გაბალისებულნი, გათამამებულნი, იწვედნენ ზევით, იზმორებოდნენ, იზრდებოდნენ და მადლობის ნიშნად გაიყურებოდნენ ცისკენ, რომელმაც ეს სიხარულის კრემლები გამოგზავნა.

ოჰ, რა კარგი იყო ამ დროს ბაღიც, სადაც აღისფრად აყვავებული ატამი, თეთრ კაბაზე წითელ ხალებ-დაკრული ნუში და სურნელოვანი იასამანი შეჭხაროდნენ ერთმანეთს,



შეხაროდნენ მზეს და აკრულებულ სხივებს ჰქვან ტყეებს
 აქეთ-იქით.


ღიად, დაიქნია ვაზაფხულმა: თავისი ფრთები, შემოაუარა
 ირგვლივ მთა-ბარს და ააჟიკჟიკა ფრინველებიც. ახლა-კი
 ერთმანეთში აირია ათასნაირი კრიმანჭული, ახლ-კი ყველამ
 დაიჯერა ვაზაფხულის ნამდვილი მოსვლა და ერთხმად შემო-
 სძახეს:

„ვაზაფხული! ვაზაფხული!
 ხან წყნარი და ხან შედგარი,
 ხან ხმა-ტყბილი სალამური,
 ხან ქუხილზე ფეხ-შემდგარი!
 წამოვიდა, დაიქეჯა,
 მიინახა, მიიბნია,
 იმის პირველ მახარობლად
 გულში სხივი შემოფრინდა.
 ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ! ფრია-ფრია, ფრია-ფრია!
 მერცხალი და ბელურაო:
 ოფ-ოფ-ოფ-ოფ-ოფ-ოფ-ოფ-ოფ-ოფ:
 ოფოფს თავი ეხურაო-
 აქ მოწია გადმოფრინდა,
 გვერდს დაიკრა შავრა ფრთები,
 ცას უკურებს და ლოცულობს:
 „ვაზაფხულსაც ვენაცვლები.“
 იმას მოჰყვა კულ-ნამგალო,
 გვრიტი მალი, გვრიტი მფრთხალი,
 წყაროს პირას პეპელა თრთის,
 კშვენის წითელ-ყვითელ ხალი!
 ტყეში— „გუგუ“, ბილში— „გოგი“,
 გუგული და „ბიქო—გოგი“
 გაჰხედდევით: გადაშლილა
 მინდორ-ველზე ფარა-ჯოგი!



ვა, ვაქარი, გაზაფხულო,
 ჭიხარულო, სიყვარულო;
 ბანი უთხარ შენტ, მგოსანო,
 აქნობამდე დაფარულო,
 გამოჩნდი და ვაქარ ჰანგი:
 ტიავ! ტიავ! მშვენიერო!
 ვაშა, ვაშა გაზაფხულოსა,
 ვაშა, მრავალ-გამიერო!

ი. ევლოშვილი.





მეგობრები.

(ბალკანეთის ამბებიდან).

I



აგი ზღვის პირად, თრაკიის ვილა-
იეთში*), მოზრდილ სოფელ ვასი-
ლისკოში ბულგარელები და ოხმა-
ლები სცხოვრობდნენ. მიყრუებუ-
ლი სოფელი მაშინ თუ გამოცო-

ცხლდებოდა, როცა ორ-კვირაში ერთხელ გემი დადგებოდა
ნაპირიდან კარგა მოშორებით და ვასილისკოელები ნაევებით
გაეშურებოდნენ ძვირფას სტუმრისკენ.

ახალგაზდა ბიჭები კობტა ფესით თავზე და ფეხშიშველ-
ნი მარდად უსევამდნენ ნიჩაბს, და ნავიც მიჰქროლაედა მარ-
დად, სხარტად, როგორც წანწყარა ჩიტი სახლის ბანზე, ან და
იორლა ცხენი ტყის ბილიკზე. გემიდან გაჰოხმაურება, ბიჭე-
ბის ყიფინი და თვით გემის მანქანის გუგუნე ერთმანეთში
ირეოდა, და ზღვის სივრცეში კვალ-წმინდად ინთქებოდა.

ზღვის პირად გრძლიად გაეღებულ შესერთან სოფლის

*) ვილაიეთა — ნაწილა მხარისა.



ქალები და შავშევები იკრიბებოდნენ და გასცქეროდნენ მკმინავ სტუმარს; აქა-იქ ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა სწყდებოდა:

— შეხეთ პატარა მირკოს, ჯერ სკოლაში არც-კი დადის, და მამას ნიჩბის მოსმაში ეჯიბრება! — შენიშნა ერთმა მოხუცმა დედაკაცმა, რომელსაც მირკოსთანა არვინ გააჩნდა და, ცოტა არ იყოს, შურით გახედა ჩარეჭასავით დარგვალეზულ პაწია მირკოს.

— ნიჩაბი ორი მაგოდენაა, თანაც მძიმეა და იქნებ ზღვაშიაც გადაითრიოს ეგ თქვენი სახელოვანი მეზღვაური, — ღვარძლიანად დაიწყო ათი წლის ფროსი.

ფროსის სიტყვებს არ გაიკვირვებთ, თუ გეტყვით, რომ ონავეარმა მირკომ ფროსის დღეს დილით ორი დღის ნაშენი ბუხულო დაუნგრია.

— საწყალ მუხთარს ფესი წყალში ჩავარდნია და ნავით როგორ დასდევს დასაქერად! — წამოიძახა ვილაკამ.

ყველამ ერთ მხარეს გააყოლეს თვალი, სადაც მუხთარი, მირკოს ერთგული მეგობარი, ფესს ნავით დასდევდა.

— ზღვიდან მოექვეცი, მუხთარ, და ნაპირს გამორიყავს, — არიგებდნენ ნაპირიდან და თან თვალს არ აშორებდნენ.

ბოლოს კიდევ მიუახლოვდა, გადასწვდა ხელით დასაქერად, მაგრამ ნავი შეტორტმანდა და ფესის მძებნელი მუხთარი ზღვაში საძებნელი გახდა.

ნაპირზე მყოფ ხალხში მუხთარის გადავარდნამ შიშის მაგიერ სიცილი გამოიწვია: ყველამ იცოდა, მუხთარი ზღვასთან შეზრდილი იყო და ესე უფრო მალე დაიქერდა ურჩსა და გაუგონარ ფესს.

მუხთარმა ერთი ჩიყურყუმელავა, მერე ამოისუნთქა, თვალებზე ხელი მოისხა და ფესისკენ გასცურდა, რომელმაც თავი გაიშარტოხელავა და ზღვის პატარა ტალღებში უდარდელად დასეირნობდა.

თქმა არ უნდა, პატრონი და ფესი ერთმანეთს გაჯაფრებით შეხედნენ და ჩხუბიც მოუფილდათ.

— მუხთარ, ფესი გადაგივარდა? — ჰკითხა მირკომ.

— თავზე არ უნდა დგომა ამ წყეულს; და მე ვიცი — ზღვას მივცემ. — გაჯაფრებით ჩაიბურღლუნა მუხთარმა და სხვენის დახმარებით ნაფი ნაპირს ამოათრია.

გემი უკვე შორს იყო და მზე დასაძინებლად ჩავიდა; ნაპირიც დაცარიელდა, როცა მუხთარი და მირკო მაინც ნაფთან ისხდნენ მეგობრულ მასლაათში.

— მუხთარ, მე და შენ ტოლები ვართ, ათ წელიწადს არცერთი ავცილვებულვართ და მოდი ერთმანეთს ძმობა შევეფიცოთ. მე და შენ მეზობლად დავიბადენით, ერთად გავიზარდებით და ძმები უნდა ვიყვნეთ. შენ ოსმალი ხარ, მე — ბულგარი, მაგრამ კაი ძმობა ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!

მირკოს სიტყვა მოეწონა მუხთარს, დასტური დასცა და ისედაც ძმობილები უფრო დამშობილდნენ.

ხანი გადიოდა... ვასილისკოში გემები ორ-კვირაში ერთხელ მოდიოდნენ. მირკო და მუხთარი ერთმანეთს მეგობრობდნენ... ზღვის ტალღები ისევ ნაპირს ეხეთქებოდნენ და ჯაფარიანი უკან ბრუნდებოდნენ ხელ-აბლა ბედის საცდელად...

II

ცივი შემოდგომა დადგა. წვრილი წვიმა ფქვილივით იცრებოდა და ჩუმად გველივით სისინებდა.

ცა პირქუშად იცქირებოდა, თავ-პირი ჩამოსტიროდა და ვარშემო სევდას და მოწყენას აფრქვევდა.

ზღვა ძლიერ ჯაფრობდა...

დიდ, ვეებერთელა ტალღებს აგორებდა და გემს მძლავრად ახეთქებდა.

შუაღლე გადასული იყო და მალე ბინდი შავი ზეწარივით ქვეყანას მოედებოდა.



გემის ერდო ოსმალებით სავსე იყო. მოხუცი და მწიფი ვარი დედაკაცი ზოგნი კუთხეში მიწოლილა, ზოგნიც სხედან; მამაკაცი და მოზარდი ბჭები ფეხზე დგანან და მწუხარებით გასკქერიან გამოვლილ გზას.

არაფინ არღვევს ამ სამარისებურ სიჩუმეს საშინელ სევდისას; ყველა კდილობს გულში ჩაიკლას უბედურება; ყველა გაჩუქებულია: ბურთი და მოედანი ამინდს და გემის მანქანის ხმაურობას დარჩენია.

მუხთარი განაპირას სდგას, წერილი წვიმა ლამაზ შვეგვრემან პირი-სახეს უსველებს, სიცივემ ხელები დაულოურჯა; ის მაინც კერპადა სდგას და, ბოლმით სავსე, დაშორებულ ვასილისკოს თვალს არ აშორებს.

— ნეტავ ახლა მირკო რას აკეთებს?! მგონი თბილ კერას მისჯდომია და წიგნს კითხულობს, ან და თავის პაპისგან წყლის ქალის ზღაპარს ისმენს. მგონი ჩვენი სახლი სულ დააქციეს, ყველაფერი მირკოანთ დარჩებათ; ხომ გვერდზე სდგანან. იქნებ მირკოც ახლა ჩემზე ფიქრობს?!

— საფარში შემოდი, შეილო, შე ბედშაო, ასე დასველებულს რომელი ცეცხლი გაგაშრობს?!— დაუძახა მუხთარს იქვე საფარში მიწოლილმა დედამ, რომლის მუხლთან ეძინა პატარა ლეილას, ხუთი წლის გოგოცუნას, ენა-ტიკტიკას და მეტად ცელქს.

— არა მიშავს-რას— წაილაპარაკა სავასუხოდ მუხთარმა ისევ თავი ფიქრს მისცა.

„ნეტავ რას ერჩოდნენ საწყალ მამაჩემს?“

მაშის მოგონებაზე, რომელიც ეხლანდელ ომში მოუკლეს, თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— აგერ სტამბოლი მოჩანს!— წამოიძახა ერთმა რაღაც ნუგეშისა თუ ივედიანობის ხმით.

ყველამ პირი იქითვე იბრუნა.

მართლაც და შორს, შორს, სადაც თითქოს ცა გუმბა-



თის თალივით დედამიწას ებჯინება, მრავალ ცეცხლებით გაჩაღებული მიდამო მოსჩანს.

ეს სტამბოლია! ყველა ესენი, ფრაკიდან დევნილნი უკანასკნელ ომისა გამო, სტამბოლს მიდიან, ახალ სამშობლოსა და მიწა-წყლის საძებნელად.

გემი მძიმე ქმინებით ყველივით სკრის შავ, ბობოქარ ტალღებს და განწირულივით მიიწევს სტამბოლისკენ.

ცა ჩაშვეებულია, თითქოს თალხებით იმოსება ამ საცოდავ დევნილთა ნახვითაო. ამინდი ცოტა მიყუწდა, მაგრამ სიცივემ ფაფარი აიყარა და გემის კუნჭულებში არხვინად დაბრძანდებოდა.

ვინც სოფლიდან ქალაქს სკოლაში ვამგზავრებულა, ის ვაიგებს მუხთარის ჩვილს იმ შარის მოშორებისას, სადაც ბავშვობიდან ჩვეულა, უთამაშნია და მზის ამოსვლისას უმღერია.

— მუხთარ, შეილო, ბარგის გადასაზიდად მარჯვედ იყავ; მე ლეილას ვერ მოვშორდები, — შეეხმაურა დედა.

— მუხთალ, ის ლა აღი?! — შეეკითხა დაია და პაწია ფუნთრუშა ხელი სტამბოლისკენ გაუშვირა. თან მეორე ხელში პურის ყუა მაგრად დაებლუჯა და ისე გულიანად ილუკმებოდა, ასე გვეგონებოდათ, ხუთი დღე არა უჭამიარაო.

— სტამბოლია! — უპასუხა მუხთარის მაგიერ დედამ.

თუმცა ვერ გაიგო, სტამბოლი რა იყო, მაინც მცოდნე-სავით თავი ჩაიქნია და პურის ყუას მეორე ხელიც მიაშველა.

უდარდელი, ცოცხალი გოგონა იყო ლეილა. ცოტა სციოდა, თორემ დანარჩენთა დაღონების აინუნშიაც არ იგდებდა; პირიქით, უხაროდა კიდევ ეს მგზავრობა და როცა გემის კაპიტანმა ორი ფორთოხალი მისცა, ხომ სიხარულით ცას დაეწია.

მუხლზე დაისვა თეთრ-წვერა ბიძიამ და ჩურჩულით ჰკითხა:



— გოგონი, რა გქვიან?!

— ლეილა! — ჩურჩულითვე უპასუხა და ფორთოხალის დანახვაზე ეშმაკურად გაიღიმა კიდევ.

— სად მიდიხარ?

— მამის საძებნელად მივდივართ.

მერე არ გეშინია ამ მგზავრობისა? — კვლავ შეეკითხა მოხუცი.

— ალა, მუხთალა მისველის! — და თითოთ პატარა ბიჭზე აჩვენა, რომელიც ყუთზე მიმჯდარიყო და სდუმდა.

— ლეილი, აქეთ წამო, ბიძიას ნუ აწუხებ! — დაუძახა დედა.

— რა უშავს-რა, პირიქით... — ჩაერია მოხუცი და მეორე ფორთოხალიც მისცა ლეილას. ახლა-კი ველარ მოითმინა, თვითონვე ჩამოხტა ბიძიას მუხლიდან და გაეშურა, რათა დედისთვის ეჩვენებინა ძვირფასი საჩუქრები.

უკვე სტამბოლში მივიდნენ...

III

ოსმალეთსა და ბულგარეთის შორის ომის დაწყებამ დაწყებულ ცხოვრება ვასილისკოელებისა აშალ-დაშალა.

ერთად, მეგობრულად მცხოვრებ ხალხს ერთმანეთი უნდა შეეძულნათ ვიღაც შორს მყოფ ხალხის ბრძანებით და ერთმანეთი სასიკვდილოდ უნდა გაეწირნათ.

პირველად თითქოს არვის სჯეროდა ეს ამბავი: ვერც-კი წარმოედგინათ, მყუდრო ცხოვრება როგორ უნდა დაიშალოსო. შემოდგომის მხიარულება მოისპობოდა და ზამთარში მოსვენების მაგიერ უნდა ეოჰნათ.

მეტადრე მირკო ვერ გარკვეულიყო: — ნეტა მუხთარი რად უნდა შეჯავრობოდესო!

ბევრი იღარდა მუხთარის წასვლის გამო მირკომ, და აი



ახლაც, როცა წუხილი გავლილ დღეებს უნდა გადაელვებოდა, გამოკეტილ მუხთარიანთ სახლს რომ გადახედავდა.

მამა საღლაც წავიდა და თვით დედის ამარა დარჩა. გრძელი ზემთარი ისეც გრძელდებოდა. პაპის მადლიერი იყო ისევე: სმენად გადაიქცევიდა ხოლმე მისი ზღაპარი, დინჯად და დაბალი ხმით ნაამბობი.

ერთხელ, როცა მთელი სოფელი თოვლით აყო გადალესილი, სიცივეს კბილი შეეკრა და გარედ ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა, ყველანი სახლში შეკეტილიყვნენ და მირკოც თბილ კერასთან პაპის ჩვენებით ქალამანს ისხავდა, — უცებ ძაღლმა ხშირი ყეფა ასტეხა და პატრონს გარედ იწვევდა.

— მირკო-ო-ო! გარედ გამოდი!

მირკო სწრაფად გარედ გაეარდა, ძაღლი დატუქსა და თავის მებობელი ბორისკო რაღაც ქალღმერთ ხელში დაინახა.

— მირკო, — დაიწყო ბორისკომ, როცა უკვე სახლში შეიწვიეს და შეცივულმა სული ამოთქვა, — აი ეს წერილი გეშე მოგვცეს, სტამბოლით ყოფილა გამოგზავნილი.

და წერილი გაუწოდა.

მირკომ ძალიან გაიკვირვა: ჩვეული როდი იყო წერილების მიღებას.

ყველანი გაფაციცებით უცქეროდნენ, აცა რა ეწერება ამ ქალღმერთში.

ბორისკო ტახტზე ჩამოჯდა; მირკოს პატარა სამფეხა სკამი დაუდგეს; პაპა ცეცხლთან ახლო მუთაქას დაეყრდნო; მირკოს დაი მარკა დედას მუხლთან ამოუჯდა და ყველანი სმენად გადაიქცნენ:

— საყვარლო მარკოს სტამბოლიდან წერილსა ვწერ და მოკითხვას უთვლი იმის დარდიანი მეგობარი მუხთარი.

ეს ორი თვეა, ძმაო, რაც დედითა და დით სტამბოლში



ვცხოვრობ. დედაჩემი ერთ ფაშის სახლში ემსახურება; მე სკოლაში დაედივარ და ჩვენი ლეილა თავისებურად ცელქობს, თან ტიქტიკებს განუწყვეტლივ და სულ შარიკას ხსენება-მოგონებაშია.

— ლეილას ვენაცვალე!—წამოიძახა უცბად შარიკამ უკანასკნელ სიტყვების გაგონებისას და შორცხვობით თავი კალთას შეაფარა დასამალად.

— იყუჩე, შვილო!—დატუქსა დედამ.

შირკომ განაგრძო:—რაც ვასილისკოდან წამოვედი, გული რალაც მიკნესის და სულ მანდვე დაბრუნებაზე ვფიქრობ. მგონი ჩვენი დერეფანი თოვლით არის საფხე და არვინ არის, რომ თოვლი გადახვეტოს; ან და იქნებ თოვლმა ბოსლის ბანი დააზიანა. უფრო ის მაღონებს, ვაი თუ ჩვენი ალაზეშა*) სადმე ვადიკარგა?! ვინ იცის, საწყალი, რაკი ჩვენ სახლში აღარ დაგვიგულა, საძებნელად წავიდა და ამ ძებნაში სადმე ვადილრძო. ვინ იცის?!

არ ვიცი, როდის გათავდება ეს ამბავი. აქ ხალხში დიდი ალიაქოთია და დავიდარბა.

ნეტავ მალე ვიქნებოდე ვასილისკოში: გაზაფხულზე, მზის გულზე, ზღვის ლაშში ვგორაობდეთ ან და ნაფებით ერთ-მანეთს ცურვაში ვეჯიბრებოდეთ!

შენს კარგად ყოფნის ამბავს ეგები მომაწვდენდენ და გამახარებდენ შორს გადაკარუგულ შენ ამხანაგ

მუხთარს.

— ეჰ, შვილო, თავის თავს თითონვე უყვეს მაგ საცოდავებმა!—ამოოხვრით წაილიპარაკა პაპამ.

— ღმერთო, აშორე ამ საწინელებას ჩემი შვილები!—ვედრებით სთქვა შირკოს დედამ.

— საწყალი მუხთარა, რა რიგად დარდობს!— გულ-

*) ძალღი.



მტკივნეულად სთქვა ბორისკომ და წასასვლელად დაემხრო
მირკო!

მირკო ჩასჩერებოდა უკვე წაკითხულ წერილს; მოაგონ-
და ტკბილი ამხანაგი, ერთად გატარებული ბალობა და ცრე-
მლები კაპა-კუპით. ეცემოდა ცეცხლისგან გაბრწყინვებულ
წერილს.

პაპას არ უნდოდა დაერღვია ბაღლის წუხილი და კედ-
ლისკენ იბრუნა პირი, ვითომდა დასაძინებლად. ბორისკო წა-
ვიდა და დედა შეშის შემოსატანად გარედ გავიდა.

მხოლოდ პატარა მარიკა ტახტზე პირქვე წაწოლილიყო
და ძმის ცრემლებს გულის ტოკვით, ნაღვლიანად შესტკერო-
და.

— მილკო, ნუ ტილი, თოღემ მეც ვიტყვებ, ლათა
ტილი?!—

შეეკითხა ბაღლი და თვითონაც სატირლად მზად იყო.

— მარიკი, გენაცვალე, გინდა, რომ ლეილა მნახო?!—

— მინდა.—

— მაშ მივწერო მუხთარს, რო ლეილა წამოიყვანოს?!—

— ჰო,—ჩუმად წასჩურჩულა მარიკამ და ცრემლები გა-
დაყლაპა.

მირკოს საზრუნავი ახლა ქალაღდის შოვნა იყო.

ორი კვირის შემდეგ სტამბოლში მიმავალ გემს მუხთარ-
თან წერილი გაატანა მირკომ:—„სამაგიერო საღამო მუხთარს.
ჩვენ ყველანი კარგადა ვართ. მარიკას ლეილას ნახვა
ძალიან უნდა. თქვენი სახლი და კარი კარგად არის. თქვენ
დერეფანში თოვლი არ არის: მე და ბორისკომ გადავხვეტეთ.
ბოსელი მთლიანად არის. ფიქრი ნუ გექნება აქაურობის. ეს
ამბები სულ მალე გათავდება და გაზაფხულამდე, მანამ მიწა
დაიორთქლებს და ჩლამბარა ბაღები თავს ამოჰყოფს, აქ იქნე-
ბი, ჩვენ ლამაზ ვასილისკოში. თქვენი ალაბეშა ჩვენსა არის
და შენ მოსვლას გულით მოეღის. აქ ჯერ კიდევ თოვლი



დევს და სიცივის გამო ცხვირი ვერ გამოგვიყვია. გარშემო
ში ვერც კი წავსულვართ მარხილებით შეშის მოსატანად.

შენი ნახვის მონატრული მირკო.

ომიანობა გათავდა. ვასილისკოში ცხოვრება ისევ ძველ
კალაპოტში ჩადგა. გაზაფხული მიწურულეშია; ცხელა ძლიერ.

ზღვაში გაშვებულ ნავებიდან მუხთარი და მირკო ერთ-
მანეთს სურვაში ეჯიბრებიან და თან მათი უდარდელი სი-
ცილი ზღვის ხმაურობაში ირევა და იკარგება... თითქოს მსუ-
რდეს ლურჯ ზღვის წყალში ამოაელოს დროებით შეწყვეტი-
ლი მეგობრობა!..

ვ. თამროშვილი.





მწყემსის სიმღერა.



ამეა. მთვარე კაშკაშებს,
დაჰყურებს არე-მარესა;
ხომლი შუქურას უცინის,
სივრცეში მონარნარესა;

სიო შორს მთისკენ მიადრენს
მიწის ოცნებას მწარესა;
ჩაჰკონებია დუმილი
ტანჯულ სამშობლო მხარესა.

ბუჩქის ქვეშ მორცხვად მინაბულს
ნამი ზედ დაჰკრთის იასა;
ფრთა შეუწურავს ყაყაჩოს,
ტურფას და გულ-მკერდ ღიასა

ბუღბუღი უსტვენს ძილის პირს,
სატრფოს თავდაბრილს მორცხვავადა,
და მისი მღერა ციური
ცას ეწირება ლოცვავადა.



აგერ ინათა ცისკარმა,
 შუქი გასტყორცნა ღამეში,
 ისევ აფეთქდა სიცოცხლე
 ნისლით დაბურულ მხარეში.

მწყემსმა არეკა ნახირი,
 გაუყვა მწვანე ქალასა,
 თანაც ჩაპბერა სალამურს,
 მღერის—ცას უქებს ძალასა.

— მზეო, სოფლისა მნათობო,
 არსთა შემქნელო ძალო,
 ააყვავილე ზამთრისგან
 დაზრული ტყე და ქალო,

— თორემ ილუპვის ყოველი—
 საუნჯე დაიკალო,
 ორმოში პური გათავდა,
 საბძელში—ბზე და ჩალო!

— შენ, თეთრ ღრუბლებში ხვეულო,
 შუქურავ, ნაზო მთეარეო,
 წაიღეთ, შორს, შორს წაიღეთ,
 ფიქრები მგლოვიარეო.

— დე გაზაფხული ყვაოდეს,
 აგვშორდა ყოფნა მწარეო,
 და ნეტარებით იშვებდეს
 ჩვენი სამშობლო მხარეო!

ასე მღეროდა შთის კაცი,
სალამურს ასე უკრავდა,
და ირგელივ ყვავილ-ბაღახი
ღიმილით თავსა უკრავდა.

ტყეში-კი ნელად მჭროლავე
დილის ნიავი სოდა,
საშობლოს ცაზე მნათობი
ციმციმით ამოდოდა.

დარია ახვლედიანი.





უკველეს დროის გავშვის თავ- გადასავალი.

(გაგრძელება).

III

მ უ დ მ ი ვ ი მ ტ ე რ ი .

ათხი დღის შემდეგ. — მტერი ეოველთვ ს მზად არის. — შიმშილი. — წვნიანი უძველეს დროის ხაღსასა — სსკა-და-სსვა სსმუშაო. — ვინც მუშაობს, იმას სადილიცა აქვს. — მღვიმეს დათვადიერება. — რა სენი იდგა მღვიმეში? — თუახის კერა. — რას გვიამბობენ კვეები. — სახლის ავერუელობა. — მამთა იარაღი. — არც ძაღლი. არც კატა, არც ქათამი, არც ზური. — გამოსრულ ძვლების ფაფა. — უძველეს დროის მკერავები. — რას აკეთებს იფო? — უკვლანი შადიან. — შარტობა მღვიმეში. — კრკვა.



აეშვები დალამებამდის დაბრუნდნენ სახლში. იმ საშინელ შემთხვევის შემდეგ, რომლის ამბავმაც დედები აათროლოა, შატარა დები, მები და ონი, აატირა, — სამშობლო მღვიმე, ღარიბული და კომლიანი, სამოთხის კუთხედ ეჩვენათ ბავშვებს.



აქ სრულ ბედნიერად ჰგროძნებდნენ თავს, უშიშარ
 ალაგას, რადგანაც დედები, ვისი ძუძუთიც იყვნენ გაზრდილ-
 ნი, ახლოს ჰყავდათ; გარშემო ამართული იყო მაგარი ქვის
 კედლები; დიდებული, კეთილი მათი მეგობარი—ცეცხლი—
 ნაზად ეალერსებოდა და ათბობდა ბავშვებს.

თუმცა ცეცხლი სძლევს სიცივეს და ველურ ნადირებს
 აშინებს, მაგრამ არ შეუძლია მღვიმეს მცხოვრებლები დაი-
 ფაროს სხვა დაუბინებელ მტრისაგან, რომელიც ყოველთვის
 სდარაჯობს და, ასჯერაც რომ დაამარცხო, კვლავ ცოცხლდე-
 ბა და უფრო და უფრო მძვინვარებს.

ეს მუდმივი მტერი, როცა მღვიმეს მცხოვრებნი ღარ
 ებრძვიან გაუფრთხილებლობის, სიზარმაცის, ან კიდევ ამა თუ
 იმ მიზეზის გამო, ეს მუდმივი მტერი ყოველთვის და ყოველ
 დროში სიცოცხლის მტერი ყოფილა.

ამ შეუბრალებელ მტერს, ამ წუწუკ მქენჯავს,
 რომელიც ჩვენ დროშიც ათასობით ხოცავს ხალხს,—სახელად
 შიმშილი ჰქვია.

აი, უკვე ოთხი დღეა მას აქეთ, რაც ბავშვები მღვიმეში
 დაბრუნდნენ, მონადირეები-კი, ბავშვების მამები და პაპები,
 მთელი საზრდოს მშოვნელები — ჯერაც არსად სჩანდნენ.
 თუმცა გამოცდილნი იყვნენ, გზა ხომ არ აერიათ, ან
 იქნება მათი ნადირობა უნაყოფო იყო და, სასოწარკვეთილე-
 ბი, ტყუილად დაძრწიან ტყეში? ამ კითხვაზე ვერაინ უპასუ-
 ხებდა. მოხუციც, დედებიცა და ბავშვებიც დაეჩვივნენ მამების
 დიდი ხნით დაშორებას; არც ინალვებდნენ, საყოფი საქმე-
 ლი რომ ჰქონოდათ, ისე სწამდათ მამების სიმარჯვე-გულადო-
 ბა, მათი სამხედრო ოსტატობა და გამჭირიანობა.

უძველეს დროის ხალხს თავიანთ მახლობელთა მოლო-
 დინში გული კი არა—კუჭი ეწვოდათ.

უკანასკნელ ნადირობის მონარჩენი—ნახევრად წამხდარი
 ირმის პატარა ნაჭერი, უკვე პირველ დღეებშივე შეე-
 ჭამათ.



გახრწნილ ნანადირევისაგან აღარა დარჩენოდეს, ახლა ხელი უნდა მიეყოთ ახალ ტყავებისათვის, რომელიც ტანისამოსისათვის ჰქონდათ გადაღებული.

დედაკაცები შეიარაღდნენ მოვრძო ბრტყელ კაეის ნატეხებით; ამ კაეის ნაქრების ნაპირები, ხელოვნურად გათლილი სხვა უფრო მაგარი ქვის საშვალებით, ასტამს წააგავდა. ამ ასტამით დედაკაცები ფბეკდნენ ბეწვს და აკლიდნენ ძარღვებს მძიმე ტყავს; შემდეგ ამნაირად დამზადებულ ტყავს პატარა-პატარა ნაქრებად ჰყოფდნენ; სხვა, გასისხლიანებულ ნაქრებს-კი ასველებდნენ წყალში და ხარშავდნენ, მანამ სკელ, წებოიან ფაფად გადაიქცეოდა. ასე დამზადებულ ფაფას სიამონებით შეექცეოდნენ.

საზიზლარი წვენი იყო, არა, ყორქ! თან ისიც უნდა დაუმატო, რომ ეს წვენი უქოთნოდ იყო მოხარშული.

უძველეს დროის მონადირეებმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ იცოდნენ, რა იყო თიხის კურკელი.

წყალს ასე ადუღებდნენ: ჩაასხამდნენ ხელოვნურად ხის ქერქისაგან გაკეთებულ პარკში, რომელიც, რასაკვირველია, ცეცხლზე არ დაიდგმებოდა, მაგრამ გამკრიახმა აღამიანმა ერთი ხერხი მოიგონა: პირდაპირ წყალში ჰყრიდა ცეცხლში გახურებულ ქვებს; ამნაირად ცხელდებოდა წყალი, მაგრამ წაცრისაგან-კი იმღვრეოდა.

რაც შეეხება ბოსტნეულობას, მე და შენ რომ ვკამთ, ჩემო ყორქიკ, იმ დროს ან სრულებით არ იყო, ან კიდევ ცნობილი არ იყო, მეტადრე იმ სახით, როგორც ახლა ვხედავთ. ამ ბოსტნეულობის შემუშავებას და გაუმჯობესობას რამდენიმე საუკუნე მოუნდა.

ამნაირად დედებს დავიწყებოდათ თავიანთი საკუთარი ტანჯვა და გაბოროტებულნი მწუხარებით უურს უგდებდნენ თბილ ნაცარში დაყრილ ბავშვების კენესას და უმზადებდნენ ამ წებოიან ფაფას.



რამდენიმე ფესვი, რომელიც ძლივს ამოველიჯათ გამოეყოფა ულ დედაშიწიდან, უკვე დაეღეკნათ.

წინა დღით ჰელიმ მოიტანა რაღაც საზიზღარი თევზი: ასეთი თევზი მხოლოდ ჰელის შეეძლო დაეკირა და ხოჭხე, აევო.

ეს ნადავლი საშინლად მოეწონათ, იმ წამსვე გაიყვეს და არც კი შეუწყვეთ—ისე გადაყლაპეს. მაგრამ თევზი პატარა იყო და მშვიერი ხალხი-კი-ბევრი: თვითეულს თვითო ლუქმა ძლივს შეხვდა.

მაშინ უხუცესმა გადასწყვიტა რაჲე სამუშაო აღმოეჩინა ყველასათვის, რომ რამეთი მაინც გაერთო და ამნაირად კუკის აუტანელი ტკივილი დაევიწყებინა. ამ სამუშაოზე სხვა დროს ვილაპარაკებთ.

ახლა-კი, სანამ ყველანი მუშაობაში არიან გართულნი, მღვიმე დავათვალიეროთ.

ჩვენი ბედი, ყოჩა, რომ მხოლოდ ფიქრით შევალთ ამ მღვიმეში. ნამდვილად მე და შენ, ფაქიზ გრძნობების პატრონთ, იქ შესვლა რომ შეგვხვედროდა, შევდგამდით თუ არა ფეხს უძველეს დროის ხალხის სალის კარებში, შეხუთულ ჰაერის გამო გული შეგვიწუხდებოდა.

ჩვენ დროში მხოლოდ ესკიმოსების ქოხის ჰაერი, ისიც დილით თუ შეხვედი, ცოტად თუ ბევრად შეგვატყობინებს, რანაირი სუნი იდგა უძველეს დროის მონადირეთა მღვიმეში. კრეკის მშობლებს სადგომი მოგაგონებს უშველებელ, თითქმის მრგვალ და თაღიან სარდაფს, ოდესღაც წყალისაგან გამოქვაბულს.

ეს მღვიმე უერთდება სხვა პატარ-პატარო მღვიმეებს. პატარა ნახვრეტებით. ქვის კერიდან ჩამოკიდულა გრძელ თეთრ რქებივით სტალაქტიტები *). უპთავრეს ოთახის კედლის

*) კლდის გაქვევებული ჩამონაწერი, ყინულის სხეულის მზგავსი.



გასწვრივ; კუქკიან და სხვა-და-სხვა უსუფთაობით მიწაზე; გამხმარ ფოთლების და ხავსის გროვით; ალაგ-ალაგ კი ნადირის ტყავების ნაფლეთებია დაფენილი. ეს წარმოადგენს აქ მცხოვრებლების ლოჯინს.

შიგ შუა მღვიმეში ჰყრია აუარებელი ნაცარი და ქონიანი ჩაქჩალი ნახშირი, ნაპირებზე ეს გროვა თბილია, ხოლო სიმბურვალე-კი შუაშია. ამ ცეცხლიდან დრო-გამოშვებით გამოჩნდება ხოლმე პატარა ალი; ამ აღს კრეკი; (დღეს ეს არის ცეცხლის დარაჯი) წამ-და-უწუშ ფიჩხს აყრის.

ამ კერის ნაცარში და ნახშირში არეულია ყოველნაირი ნახორხალი; ნავაი: სიგრძეზე გახეთქილი ძვლები, რომელიც გამოუხრავთ ტვინის ამოსრუტვის შემდეგ; ფიჭვის კინკრუხელები, ნახშირად ქცეული სხვა-და-სხვა ჯიშის და სახის ლოკოკინების ნივარები; მრგვალი ქვები, დაღეკილი ფესვები, თევზის ძვლები, კბილები; აუარებელი სხვა-და-სხვა მოყვანილობის ნატეხები.

ეს კაეის ნატეხები დანებისა და სხვა-და-სხვა გაფუჭებულ იარაღის მონარჩენი იყო. არც გასაკვირველია: ეს იარაღი მალე ფუჭდებოდა, რადგანაც არ იყო მაგარი და მტკიცე; ამიტომაც ასე უთავბოლოდ გადაეყარათ.

რასაკვირველია, ჩემო პატარა ეორტიკ, თავის კერასთან შემომსხდარ ამ ველურ ხალხისათვის ეს კერა საშხარეულოც იყო და მაგიდაც; ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ შათი სადილის მონარჩენი, კურკელი, ან დაქლუნგებული და დამტვრეული იარაღი, რომელიც ახლა იმათ ყოფა-ცხოვრებას გვიხატავს, როდისმე მოგროვდებოდა და ოქროს ფასად გაიყიდებოდა, ამასთანავე გამოფენილი იქნებოდა საუკეთესო დარბაზებში და მეფეების სასაზღევებში, როგორც მაგალითად დღეს ს. ერმენის ციხე-დარბაზშია.

ეჰ, არა, არა! იმათ, ამ უძველეს დროის ველურებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რასაკვირველია, რომ ალაგ-ალაგ და-

რჩენილი მათი კვალი ოდესმე მოწმად გამოდგებოდა მათ ყოველ-დღიურ ტანჯულ ცხოვრებისა და შესაძლო იქნებოდა მომავალ მამებისთვის თავის პატარა ყორღიებისათვის უძველეს დროის ხალხის ამბვის მოთხრობა.

ახლა დრო არის სადგომის მოწყობილობასა და შემდეგ თვით ამ მღვიმეს პატრონების აწერაზე გადავიდეთ.

რაც შეეხება მოწყობილობას, შეიძლება ითქვას, რომ აქ არავითარი მოწყობილება არ იყო. ოჯახის ავეჯეულობიდან შეგვიძლიან დაეასახელოთ: რამდენიმე ფართო საქმელ ლოკოკინას ნიჟარა, ლერწამისაგან, ან ქერქისაგან დაწნული რამდენიმე პარკი და კიდევ ძველებური ხის ბუნებრივი ჯამი, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა ერთი ოჯახიდან მეორეში. ეს ჯამები კოკოსის კაკლების ნახევრებს წარმოადგენდა. ოდესმე საფრანგეთში ხარობდნენ კოკოსის ხეები, იმ დროს, როცა მამონტები ცხოვრობდნენ.

სამაგიეროდ იარაღი ბლომად იყო: ხელით სასროლი იარაღი, როგორც გამოსადეგი, ისე უეარგისი; შუბები, ხელშუბები, ისრები; ბოლოში ყველას წვეტიანი ქვა ჰქონდა გაკეთებული. ზოგი წებოთი, ან ფისით, ან კიდევ ცხოველების ძარღვებით იყო დამაგრებული. ამას გარდა აქ ეყარა კიდევ აუარებელი ძვლის ხანჯლები, ირშის რქების ქიმები, თვით ირშის და გარეულ ხარების რქები, კვერთხები, კბილებიანი ჯოხები, ცხოველების ეშვები, ქვის უტარო ნაჯახები, კაყების დანები, დიდი და პატარა მრგვალი ქვები შურდულებისთვის.

ეს ყველაფერი ბლომად იყო, მაგრამ ვერც ერთ შინაურ ცხოველს-კი ვერ დაინახავდით იქა. არც ძაღლი, არც კატა, არც ქათამი; ერთი სიტყვით—არა იყო რა ისეთი, რითაც ახლა სავსე გვაქვს ბოსლები და საქათმოები. არ ჰყავდათ ცხოველები, რომელნიც დიდ სარგებლობას გვიწვევენ სანოვავის შოვნის, მუშაობის და ნადირობის დროს; მაგალითად—ძაღვები და ცხენები. ახლანდელი ვირის და ცხენის წინაპართ, ჩვენ დროში



სრულიად გამქრალთ, ისინი დიდი სიამოვნებით შიირსხვედნენ.

მერე, რომ იცოდე, ეორე; კრეკს თავის დღეში არც ძროხისა და არც თხის რძის გემო არ უნახავს.

ამას გარდა, იმ დროს, არავის არ უნახავს, არც იცოდა, თუ რა არის პურის, ან ქერის თავთავი. წარმოიდგინე, თვით უხუცესპაც-კი არ იცოდა.

შეიძლება მოგზაურობის დროს ენახა სადმე მაღალი, სრულიად უცნობი მცენარე, იმის თავთავი მოეფშენას ხელით და გემრიელად სჩვენებოდა.

რამდენმამე საუკუნემ განვლო, სანამ ველური ხალხის შთამომავლობა მიხვდებოდა, რომ ამ მაღალი მცენარის თესლი უნდა გადაეტანა უფრო ახლოს თავის ბინებთან, უნდა დაეთესა და რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოეყვანა.

საუბედუროდ კრეკის სადგომში სრულ კმაყოფილობის დროსაც-კი ვერაფერს ნახავდით პურის ან კორკოტის შზგავსს, ხორბლეული მცენარისაგან ვაკეთებულს; იმ დღეს-კი, როდესაც მე და შენ იმის სადგომში შევედით, შიგ მცხოვრებნი ისე იყვნენ დასუსტებულნი და ღონე-მიხდილნი შიმშილისაგან, რომ უკვე გამოხრულ ძელების ხელმეორედ გამოხრას შესდგომოდნენ.

ეს კიდევ არაფერი: უხუცესმა რიუგს მისცა განკარგულება გამოხრული ძელები მოეგროვებინა და ჩაღრმავებულ ქვაში დაენაყა. როდესაც ეს შავი ფქვილი დაამზადეს, რიუგმა აიღო ქვის ასტამი, დაუწყა ფხეკა მწარე, დანახშირებულ გვიშბრის ყლორტების ქერქს, რომელიც ოგოს შეენახა.

პატარა ქალები მამი და ონი ვაეკაცურად იტანდნენ შიმშილს და უფროსების ბრძანებით ჰკერავდნენ დახეულ ტყავებს; ამ ტყავებს მთელ ოჯახისთვის ამზადებდნენ ტანსაცმელად. ერთი—დაფრეწილ ტყავის ნაპირებს ხერცტდა ძელის მახათით; მეორე—შიგ უყრიდა ძაფის მაგივრად ცხოველების ძარღვებს ძელისავე ნემსით. ამ ძნელმა და ნელმა მუშაობამ ისე მიიპყრო მათა ყურადღება, რომ გადაავიწყათ დიდი ხნის შიმშილისაგან გამოწვეული კუჭის წვა.



პატარა ქალები—მაბი და
 ონი — ვეცაკურად იტანდნენ
 შიმშილს და უფროსების ბრძანე-
 ბით ჰკრავდნენ დახეულ ტყა-
 ვებს.

დანარჩენი ბავშვები კიღვე, როგორც უზუცესმა დააოი-
 გა; იარაღს ასწორებდნენ, სწავლობდნენ, როგორ უნდა მო-
 ეხმარათ სულ პატარა კაცის ნამტვრევებიც-კი. ამ წვრილ კა-
 ცის ნატვებისაგან ისრის წვერებს ამზადებდნენ.

ოჲო; თუპც ცუდი ამინდი იყო, გაგზავნეს ტყის
 პაწია მღრღინავ ცხოველების მოწარჩენ რკოს საშოვარად.

ეს შრომა ადვილი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმ
 დროს, როდესაც დედამიწა თოვლით არის დაფარული, მშვი-
 რი გარეული ლორებიც გამოდიან რკოს საძებნელად და
 ეცილებიან ადამიანს.

მაგრამ ოჲოს მათი შეხვედრის არ ეშინოდა: ისევე ყო-
 ჩაღად იცის ხეებზე აძრომა, როგორც მისმა მეგობარმა ვრეკ-
 მა და განსაცდელის დროს მსწრაფლ ავარდებოდა ხეზე.

დრო-გამოშვებით დიდ-ყურა რიუფი გამოვიდოდა ხოლ
 მე ოჲოსათვის თეალყურის სადევნებლად; გამოვიდოდა ბი-
 ლიკზე, რომელიც მღვიმედან გორაკის მწვერვალისკენ უხვევ-
 და და შორიდან ამხნევებდა თავის პატარა ძმას, თან ყურს უგ-
 დებდა ქარის ხმაურობას.

ოცჯერ მაინც დაუგდო ყური და, რომ ვერა გაიგო
 რა, გაიღწია თავი, შებრუნდა მღვიმეში და განაგრძო ფეს-
 ვების ფხეკა.

სალაშო მოახლოვდა და იმედიც გადაუწყდა რიუფს დღეს
 ენაბა მონადირეები.

სუყველანი მწარედ დაღონდნენ.

უზუცესმა საერთო მწუხარების გასაქარებლად უბრძანა
 ყველა წამომდგარიყო და გასდგომოდა გზას; უნდა წასული-
 ყვენ ტყეში საქმელის საძებნელად, მღვიმედან სამხრეთით, გო-
 რაკის წვერზე.

შესაძლებელია უზუცესის და დედების ხელმძღვანელობით
 უკეთესი რამე საქმელი ეპოვნათ, მაგალითად, ხის წებო,
 ან ზამთრის მწერების კვერცხები, რასაც წინად ბავშვები ვერ
 ამჩნევდნენ, გამოუცდელიობისა და უსოდინარობისა გამო.

ყველა ემორჩილება უხუცესს და რაღაც იმედი უღვივებს.
 ვულში. დედაკაცებმა იარაღი აიღეს თავის ძარღვებიან ხელ-
 ში; ბავშვებმა ჯოხებს წამოაქვეს ხელი და გასწიეს.


ხოლო კრეკი ამაყობს იმით, რომ დღეს იმას მიანდეს
 ცეცხლის მფარველობა, ცეცხლთან რჩება; მთელი დღე და
 ღამე უნდა შეინახოს.

კრეკი ოქოს დაბრუნებას ელის; ის კი გაგზავნილი იყო
 ნახევრად დამბალ რკოს მოსაგროვებლად, რომელიც ცხოვე
 ლებმა ც-კი იუკადრისეს.

მარიამ იაშვილი.

(შემდეგი იქნება).





ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვი.

(მტარე ბიოგრაფია კარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო).

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს—
ვე ვერაფერი სიყვარულია;
სიტყვა ის არის—კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ი. ზაზუაშვილი.

35 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსთა დიდებული მგოსანი ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვი. რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი კულტურული დაწესებულება, რომ ეს მოვლენა რითიმე არ აღენიშნოს. ჩვენ-შვიც მიაქციეს ყურადღება ნეკრასოვის ხსოვნას და ცდილობენ მეზობელ ერის ღირსეულ ადამიანს და მგოსანს შესაფერი პატივი სცენ.

ამიტომ მეტი არ იქნება „ნაკადულის“ მკვითხველეგმაც ვაიცნონ ეს შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც არა თუ თვისი მშობელი ერი, არამედ სხვებაც ასეთი პატივისცემით და მოწიწებით იგონებენ.

„დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოჩახეო,“—ამბობს ჩვენი ხალხი, და სრული ჭეშმარიტებაც არის. ცხოვრება წაუ-

შლეელ კვალს სტოვეებს ადამიანის სულიერსა თუ გონებრივ განვითარებაში. ამიტომ, თუ გვინდა ავხსნათ, რისთვის დაადგა ადამიანი ამა თუ იმ გზას, რად მიიღო იმისმა ნიჭმა ესა თუ ის მიმართულება—უნდა გავეცნოთ მისი ცხოვრების პირობებს, აღზრდას, წრეს, რომლებშიაც ის ბავშვობიდანვე ტრიალებს, მშობლების ზეგავლენას და სხვა. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ნ. ა. ნეკრასოვი დაიბადა 1821 წელს პოდოლის გუბერნიაში, საცა იმ დროს ბინადრობდა პოლკი, რომელშიაც მსახურებდა მამა მომავალი პოეტისა. მან ჩქარა მიანება თავი სამსახურს და დასახლდა მამა-პაპეულ სოფელ გრეშნოვოში, იაროსლავის გუბერნიაში.

ეს იყო ის დრო, როცა რუსეთში მძვინვარებდა ეგრედწოდებული ბატონ-ყმობა. თუმცა პოეტის მამა არ იყო შეძლებული მებატონე, მაგრამ სხვა მზრით-კი არაფრით განირჩეოდა მაშინდელ აღვირ-წახსნილ, თვითნება და სხვისი უფლების ფეხ-ქვეშ მქედავ მებატონეთაგან. აქ მან მიიღო „ისპრავნიკის“ თანამდებობა (ჩვენებურ მაზრის უფროსს შეიძლება შევადაროთ) და ხშირად მოგზაურობდა სოფლებში სამსახურის გამო. პატარა ნიკოლოზიც ყოველთვის თან დაჰყავდა. ხოლო ეს მოგზაურობა ისე არც ერთხელ არ გათავდებოდა, რომ რამდენიმე გლეხი—ყმა არ გაელახნათ, ან წკებლებს ქვეშ არ ამოსვლოდათ სული. ბავშვი ხედავდა ყოველივე ამას და მის მგრძნობიარე გულში წაუშლელი რჩებოდა ეს შემადრწუნებელი სურათები. ქეიფი, აყალ მაყალი, ჩხუბი, სიმთვრალე, ნადირობა—აი რას ხედავდა ყოველ დღე მომავალი მგოსანი მამის ოჯახში. ეს ის დრო იყო, თვით პოეტის სიტყვებით რომ ვსთქვათ:

„ოდეს ბრბო ჩაგრულ, მთრთოლავ მონათა
 შურის თვალითა შეჰყურებდა ბატონის ქოფაკთ.“

ახლა ვიკითხოთ, რად მოხდა, რომ ასეთმა მაგალითებმა არ გარყვნა ბავშვის ნაზი და ყველაფრის აღვილად შემთვისე-



ბელი ხასიათი, არ დაამზავებსა ის დესპოტ მამას და მასთან მოქიფე სხვა მებატონეებს?

ამის მიზეზი იყო დედა მგოსნისა, ქალი მეტად განათლებული, კარგ წრეში აღზრდილი და ხასიათით მეტად ნაზი და ფაქიზი. ქმრისგან დამპირების მეტი არაფერი იცოდა. მშობლებმა მასზე ხელი აიღეს, რადგან მათ სურვილის წინააღმდეგ გათხოვდა. ყოვლის მხრით შევიწროებულმა და იმედ-დაკარგულმა ადამიანმა მთელი მზრუნველობა და სიყვარული შეიღებზე გადაიჭანა.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რუსეთს პოეტი ნეკრასოვი არ ეყოლებოდა, დედა მისი ასეთი დიდბუნებოვანი, კეთილი გულის და მასთან ღრმად განათლებული ადამიანი რომ არ ყოფილიყო. სწორედ მან გააღვივა თავისი შვილის გულში ღვთიური ნაპერწკალი. შეაჩვია ჩაგრულთაღმი სიყვარულს, გააღვიძა მასში კოცხალი და ფიზიკური აზრი. თავის ლექსებში არა ერთხელ იგონებს მგოსანი დედას და მის გავლენას თავის თავზე. „შექსპირის და დანტეს გამირები ბავშობაშივე ზღაპრებით გამაცანიო,“ — ეუბნება პოეტი დედას ერთ ლექსში.

აქედან ნათელია, თუ რა ღრმა და სერიოზული იყო დედის გავლენა ნეკრასოვზე. იგი ზღაპრებით და არაკებით აცნობდა ისეთ უკვდავ გამირებს, როგორნიც არიან გამირები შექსპირისა, დანტესი და სხვების. ასეთი იყო გავლენა დედისა მომავალ მგოსანზე.

1832 წელს პატარა ნეკრასოვი მიიბარეს იაროსლავის გიმნაზიაში, სადაც მან მეხუთე კლასამდე მიადწია. სწავლობდა გვარიანად. მასწავლებლები ვერ ემადლიერებოდნენ, რის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ ახალგაზდა ნეკრასოვი სასტიკად დასცინოდა მათ თავის სატირიულ ლექსებში.

მამას გადაწყვეტილი ჰქონდა შვილის სამხედრო სამსახურში მიბარება. ამიტომ 1838 წელს გამოიყვანა გიმნაზიიდან.



და 16 წლის ახალგაზდა გაგზავნა პეტერბურგში სააზნაურის პოლკში ჩასარიცხავად. მაგრამ პეტერბურგში ნეკრასოვი დაუახლოვდა მაშინდელ სტუდენტობას და ამან სულ შეუცვალა აზრი ადამიანზე და მის დანიშნულებაზე ცხოვრებაში. აღარ მოეწონა სამხედრო პირთა ფუქსავატი და უაზრო ცხოვრება და გადასწყვიტა უნივერსიტეტში შესვლა. მაშამ, გაიგო თუ არა შვილის ასეთი გადაწყვეტილება, ყოველნაირი დახმარება მოუსპო.

აქედან იწყება ნეკრასოვისათვის სრულიად ახალი ხანა დამოუკიდებლად ცხოვრება—მოქმედებისა, მაგრამ ამასთანავე მუდმივი შიმშილი, სიტიტველე, უბინაობა და სხვა ბევრნაირი შევიწროება.

ჯერ დაიწყო მზადება, რომ გიმნაზიის მოწმობა აეღო და უნივერსიტეტში ნამდვილ სტუდენტად შესულიყო. მაგრამ ეგზემენი ვერ დაიჭირა და ჩაირიცხა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად.

1841 წლამდე დაჰყო უნივერსიტეტში, მაგრამ თითქმის მთელი დრო ლუკმა-პურის ძებნაში მისდიოდა. აუტანელი იყო ამ დროს პოეტის მდგომარეობა.

„სამი წლის განმავლობაში, — მოგვითხრობს შემდეგში თვითონ ნეკრასოვი, — ყოველ დღე მშიერი ვიყავი. ხშირად იქამდე მივიდოდა საქმე, რომ წაფიდოდი რესტორანში, სადაც გაზეთის კითხვის ნებას გვაძლევდნენ. ავიღებდი გაზეთს და თან დარჩენილ პურის ნატებებს ვკრეფდი და გაზეთ-აფარებულნი ვსჭამდი.“ ერთხელ ბინიდანაც-კი გამოავდეს. — ამხანაგთან იყო და, როცა დაბრუნდა, ოთახი დაკეტილი დაუხვდა, ლოგინი გარედ გყარა. იყო ზამთარი. სად უნდა წასულიყო? გავიდა ქუჩაში და ჩამოჯდა ერთ კარებში, მაგრამ პოლიციელმა არც აქ დააყენა. ბოლოს ერთმა მათხოვარმა წაიყვანა ქალაქს გარედ თავშესაფარში და იქ გაათევინა ღამე იმ ღამეს ვილაცას თხოვნა დაუწერა და პურის ფულად სამი შაური აიღო.



აი როგორ ცხოვრობდა ნეკრასოვი პეტერბურგში? მისი ცხოვრება და მისი საქმიანობა საბოლოოდ გამოაწრთო პოეტის ხასიათი და გამოჩარხა ის ცხოვრების უკულმართ პირობებთან ბრძოლაში. ასეთმა ცხოვრებამ შეისისხლხორცა მას შრომელი ხალხისადმი სიყვარული და პატივისცემა. მან თავის თავზე გამოსცადა ყოველნაირი გაჭირვება, შიმშილი, სიცივე, დამცირება და სწორედ ამიტომ შეიქნა ის შეუღარებელი გამომატველი ყველა იმ ტანჯვა-გაჭირვებისა, რომელსაც განიცდიდა და განიცდის მშრომელი რუსეთი. ამიტომაც, რომ ნეკრასოვის ლექსი ბრალთა მოთქმა-ჩივილი კი არაა: მასში, კენესა-გოდებასთან ერთად, ისმის სურვილი ბრძოლისა, უკმაყოფილება, მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ. ნეკრასოვის ლექსი ამხნევებს მკითხველს, ასწავლის ბრძოლას სიმატლისათვის, უწვრთნის გონებას, აყვარებს კეთილს, აძულებს ბოროტს.

აი რას ამბობს მასზე ჩვენი ახალგაზდა პოეტი ვ. რუხაძე:

„ტანჯულ-წამებულ რუსის ხალხას დიდი მღერალი,
ვინც თვისი ძალა, ნიჭი, ცოდნა მთლად მას შესწირა,
ვინც თვისი მოთქმით შეარხია „ნევა“, „ურალი“,
ვინც ცეცხლში აწრთო, ბრძოლის ცეცხლში, ჩანგი ღ წკირა.“

ამაირად ჩვენ დავინახეთ, რომ ნიჭთან ერთად ნეკრასოვის საერო მგოსნად გახდომას ხელი შეუწყო ცხოვრების კარგად ცოდნამ და მისი ავ-კარგის თავის თავზე გამოცდამ.

ნეკრასოვს აქვს ლექსები ბავშვების ცხოვრებიდანაც, რომლებშიაც თავისებური დაკვირვებით და ცოცხალი ენით გვიხატავს გლეხის გაპრჯელ, მხნე და შრომის მოყვარე ბიჭუნებსა.

დრო საუკეთესო დამაფასებელია მწერლისა. რამდენადაც ნაწარმოები ახლოა ნამდვილ ცხოვრებასთან, რამდენადაც

მწერლის დაკვირვება ღრმა და გულის სიღრმიდან არის აღებული. იმდენად მეტ ხანს სკოცხლობს იგი და მისი სახელი ხალხში.

ნეკრასოვის ბევრი ლექსი ნახევარი საუკუნეა, რაც გამოქვეყნებულია და დღესაც ისე ღრმად სწვდება მკითხველის სულსა და გულს, როგორც დაბეჭდვის პირველ ხანებში. იმის ლექსს ღიღინებს მშრომელი გლეხი, მას იმღერის ქარხნის მუშა, მასვე ვაიგონებთ ციხეში, სკოლაში, ცივი ციხიბრის მთა-მადნებში, იმის ლექსებს დამღერის ნხნად დაჩაგრული დედა თვის პირმშოს.

აი ვინ იყო ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვი; აი რისთვის სცემს მას პატივს დიდი და პატარა, რუსი თუ ქართველი, ფრანგი თუ გერმანელი, კაცობრიობის ტანჯული და დამცირებული ნაწილი.

„ბედისაგან დაჩაგრულთა“ სამსახური დაისახა მან მიზნად ცხოვრებაში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუგდია ეს მისაბაძი და კეთილშობილური გზა.

მაგრამ ასეთი ადამიანები დიდხანს ვერა სკოცხლობენ. მოუსვენრობა, თავ-აუღებელი შრომა, შიმშილი, დევნა და სხვა ათასნაირი უკულმართობა უდროოდ უზუჭავს მათ თვალს. ისინი ბუნებრივ სიკვდილით არა კვდებიან. ასეთი იყო ხვედრი ნეკრასოვისაც: ის ჩქარა დაავადმყოფდა და 27 დეკემბერს 1877 წელს სამუდამოდ გამოესალმა წუთი სოფელს. მიუხედავად შუაგული ზამთრისა, მის დასაფლავებას რამდენიმე ათასი ქალი და კაცი დაესწრო; უმეტესობას* შეადგენდა მოსწავლე ახალგაზრდობა. იმისი ხსოვნა უკვდავია მშრომელი ხალხის გულში.





ბავშვის ტირილი.

(ნეკრასოვისა).

ოცა გულ-გრილად წყველა და კრულვას
უსმენთ ჩაბმულღებს ჩვენს ცხოვრებაში,
ძმებო, ნუ თუ თქვენ არ გეყურებათ
ბავშვთა ტირილი ვანწირულთ ხმაში?

„პატარაობის ოქროს ხანაში,
როცა ყოველი სიცოცხლით სტკებება,
უშრომოდ, ბავშურ სიცილ-ღიმილით
ბედნიერებას ის ეგებება.

მხოლოდ ჩვენ დავრჩით გამოწირულნი
ვერ ვისეირნეთ მინდორ-ყანაში,
იმის მაგიერ ჩარხს ვატრიალებთ,
ჩარხს ვატრიალებთ ჩვენ ქარხანაში!

ჩარხი თუჯისა ტრიალ-ბზრ-აღებს,
თან შუბლი გვიხურს, თავ-ბრუ გვესხმება,
ზუზუნებს ჩარხი, ქარს გვეცემს სახეში,
გული ფრიალებს, თვალთ გვიბნელდება.



ჩვენ მეთვალყურის - გულ ქვა ბებერის, გამაზიროს
 მახინჯი სახე სათვალევებში,
 კედლებზე ბუხი, ფანჯარა; კარი,
 ყოველი, ყველა აქ ქარხანაში
 გვაშფოთ-გვალელვებს და ერთიანად
 მთლად გვეკარგება ჩვენ მოთმინება,
 და მაშინ ვკვირით: „შესდეგი, ჩარხო,
 რომ მოვიკრიბოთ სუსტი გონება!“
 მაგრამ ამაოდ: ამაო არი
 ხვეწნა, ვედრება... ჩარხი არ დგება.
 თუნდ მოკედი, მაინც გუგუნებს ჩარხი,
 თუნდ მოკედი მაინც ის ტრიალდება!
 მეტია ფიქრი, რომ ტყვედ ქმნილებმა
 ვიმზიარულოთ, ტკბილად ვიცინოთ,
 თუნდა გაგვიშვან იქ ბალახებში,
 ღონე-მოწყვეტილთ მყის დავიძინოთ!
 გვიჩვენია, რომ დაებრუნდეთ სახლში, —
 მაგრამ სახლშიაც რისთვის? რა გველის?
 მწარე ფიქრები, კვლავ სილატაკე,
 გულის შქეჯნაფი ისარი გველის!
 მოლლილები და მოქანცულები,
 ჩავეკონებით ავადმყოფ დედას,
 ვიტირებთ ჩვენ თავს, ვიტირებთ მშობელს,
 და საყვარელ გულს შემოვყრით სევდას.“

ი. ევდოშვილი





პირველი მეფე რომანოვების გვარეულობისა მიხ. თეოდორ. ძე

რომანოვთა გვარეულობის 300 წ. იუბილუმის გამოც.



იმდინარე წლის 21 თებერვალს მთელმა რუსეთმა დიდის ზეიმით იღღესასწაულა რომანოვთა გვარეულობის სამასი წლის მეფობა. 21 თებერვალს სამასი წლის წინეთ რუსეთის ყველა წოდებათა წარმომადგენელთ ამოიჩინეს მეფეთ პირველი რომანოვი, რომელმაც დაუდო სათავე დიდებით და ძლიერებით საესე მეფობას.

სამასი წელიწადი დიდი მანძილია ძლიერი ეროვნების სიძვერებაში. რუსეთშიც ბევრი ცვლილება მოხდა ამ ხნის განმავლობაში. 1613 წლის რუსეთი რომ შევადაროთ 1913 წლისას, დიდ განსხვავებას ვნახავთ: თითქოს ეხლა რუსეთი სულ სხვა ქვეყანააო.

რაც კი რამ კარგი შეიძინა რუსეთმა, სწორედ ამ სამასი წლის განმავლობაში შეუძენია და, რასაკვირველია, რომანოვთა გვარეულობის მეფეთა მოღვაწეობას ამ ასპარეზზე დიდი ადგილი უჭირავს.

სამასი წლის წინად რუსეთი ჯერ კიდევ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. დიდებულნი მეფეს ეურჩებოდნენ და ცდილობდნენ ისევ ძველი წესები დაემყარებინათ რუსეთში და თავისი ძველებური დამოუკიდებლობა და ძლიერება დაებრუნებინათ. ამავე დროს ისინი გლეხობას უფრო და უფრო იმორჩილებდნენ და ბატონ-ყმობას ამყარებდნენ. გარეშე შტრებთანაც ამიტომ საკმაოდ ძლიერი არ იყო რუსეთი და, თუმცა აზიის შემოსევა ახლა აღარ იყო მისთვის საშიში, რადგანაც დიმიტრი დონცლის შემდეგ რუსეთი თათრებს ნელ-ნელა იმორჩილებდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დამორჩილებულნი არ ჰყავდა და ყირიმადან და ციმბირიდან ყოველთვის თავ-დასხმის და აკლების საფრთხე იოცლოდა. კულტურულადაც რუსეთი ევროპას ძლიერ ჩამორჩენოდა და ამიტომ მსოფლიო ისტორიაში არც დასავლეთისთვის და არც აღმოსავლეთისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ამავ დროს ნელ-ნელა უკვე ირკვეოდა რუსეთის დანიშნულება მსოფლიო ისტორიაში. მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ნოველორდის ვაჭრობა დასავლეთთან და აზიასთან, მისი კოლონიზაცია აზიის მხარეს, შემდეგ ციმბირის დაპყრობა—პირდაპირ გვიჩვენებს, რომ რუსეთის დანიშნულებამ თავითვე ის იყო, რომ აზია და დასავლეთი ევროპა დაეკავშირებინა და თვითონ მოკავშირეს როლი ეთამაშნა. ამის



თვის კი კულტურული განვითარება და ევროპის კულტურის შეთვისება იყო საჭირო.

ხშირად ცდილობდა რუსეთი ამ გზაზე დადგომას, მაგრამ შინაური უთანხმოება და მეფისადმი დიდებულთა ურჩობა ამის საშუალებას არ აძლევდა.

შვიდობიანი გზით ვერ დაადგა რუსეთი ამ გზას და ამიტომ 159 წლიდან დაიწყო დიდი არეულობა, რომელმაც გასტანა 1613 წლამდის.

საშინელი დრო იყო არეულობის ხანა რუსეთისთვის: დიდი თუ პატარა, ძლიერი თუ უძლური, ღარიბი თუ მდიდარი—ყველა ხელჩართულ ომში იყო ერთმანეთთან. კაცს ვგონებოდა—რუსეთი მოისპობოდა და ამ არეულობას ბოლო აღარ ექნებოდა. ასე იყო ვიდრემდის პატრიოტთა შეერთებულ ძალებით ქვეყნის მტრები არ დამარცხდნენ და ამოარჩიეს მეფედ პირველი რომანოვი მიხეილი. მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს, რომელიც არჩეულ იქნა არეულობის გათავების შემდეგ, გაუადვილდა ახალ გზაზე რუსეთის დაყენება, რადგანაც დიდებულთა გავლენა ამ ხნის განმავლობაში დაეცა და ურჩი თავადები აღარ იყვნენ რუსეთში.

ამის შემდეგ რუსეთმა თითქოს თავისი გზა იპოვნა და საშინელი სისწრაფით გაძლიერდა.

პირველი ორი მეფობა იმას დასჭირდა, რომ რუსეთი არეულობით დასუსტებული და დაქვეითებული, წელში გამართულიყო და მოესპო შავ-ბნელი დროის ნაშთები. რუსეთში ჯერ კიდევ ბევრი იყო ყაჩაღთა ბრბოები. შინაური მტრების დამარცხების შემდეგ ახლა გარეულ მტრებს მიჰყვეს ხელი და მისი დამარცხების შემდეგ რუსეთი კულტურული წინსვლის გზას დაადგა: იგი დაუახლოვდა ევროპას, შემოიღო, რამდენადაც კი შეეძლო, მისი წესწყობილება, გაეცნო მსოფლიო ლიტერატურას და ევროპიელთა ზნეჩვეულება შეითვისა.

ამგვარად მოუმზადა ნიადაგი პეტრე დიდს, რომელიც

დევშირული სისწრაფით და ძლიერებით ეწეოდა რუსეთს წაშლის
მატების ვზახე. თითქოს ამ მეფემ პირველმა იგრძნო, თუ რა
მოწოდება ჰქონდა ისტორიაში რუსეთს. მან გადასწყვიტა და-
სავლეთ ევროპასთან დაახლოვება და აღმოსავლეთის დამორ-
ჩილება. ეს დაუდგრომელი მუშაკი ერთ წუთს არ სტბრება:
ხან სამხრეთით იბრძვის და შავ ზღვაზე იკიდებს ფეხს, ხან
თეთრ ზღვაზე ცდილობს ფლოტის დაარსებას, რომ იქიდან
დაუახლოვდეს ევროპას. ერთი საქმის გათავებას ვერ ასწროებს,



მეტრედილი

რომ მაშინვე მეორეს და მესამეს ჰკიდებს ხელს იმისი ძლიერი
ხელი თვალ-უწვდენ რუსეთის ყ ელა კუთხეს სწვდება: იგი ელ-
ვასავთ ევლინებოდა ხან აღმოსავლეთს, ხან დასავლეთს, ხან
ჩრდილოეთს, ხან სამხრეთს და ყველგან ღრმა კვალს ამჩნევ-



და. ასე იყო, სანამ ფეხი ბალტიის ზღვის პირს არ გამოვიდა და არ დააარსა იქ დედა ქალაქი პეტერბურგი—1703 წ. ამ გვარად პეტრე დიდმა რუსეთს მისცა საშუალება განათლებულ ქვეყნებთან დაახლოვებისა და ამით თავის შემკვიდრეებს გზა გაუკაფა.

შინაურ საქმეებშიც ასე გაბედულად იქცეოდა პეტრე დიდი: მან სრულიად ალაგმა დიდებულნი და გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ყველას, დიდს თუ პატარას, უნდა ქვეყნის სამსახურის ყველა ხარისხი გაეელო, რომ უმაღლეს ხარისხადის მიეღწია. შთამოავლობამ ყოველივე უპირატესობა დაკარგა.

მაგრამ პეტრე დიდს და მის რეფორმებს მრავალი მტერი ჰყავდა. ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთში არეულობა დაიწყო და ელისაბედის გამეფებამდის გასაჩანა.

ელისაბედ პეტრე დიდის ქალი იყო და თავის მამის გზას უაადგა, მაგრამ მას არ შესწევდა ძალა და ნიჭი, რომ ისე გაეძლიერებინა რუსეთი, როგორც პეტრე დიდმა გააძლიერა.

მაინც ძვირუასი რამ იყო ეს მეფე რუსეთისთვის: ის უბრალოდ იყო გაზრდილი სოფლად და უყვარდა უბრალო ხალხი, მათთან მხიარულება, ფერბული და სიმღერა. ამიტომ მან რამოდენამდე რუსეთის ხალხური სული და გული შეინარჩუნა მეფობაშიც კი. ყველაზე ძლიერ ეს გამოიხატა იმაში, რომ გამოაცხადა, რუსეთში სიკვდილით არაფერ არ დაისჯოსო და შართლაც, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მტერი ჰყავდა, რომლებზედაც გაიმარჯვა. მაინც არაფერ სიკვდილით არ დაუსჯია. მეორე ეღწილი ამ მეფისა იყო პირველი უნივერსიტეტის გახსნა ქ. მოსკოვში.

პეტრე დიდს დრო რუსეთს ეკატერინე მეორეს მეფობაში დაუბრუნდა. ეს იშვიათი ნიჭისა და მხნეობის პატრონი მეფე რუსეთს სწორედ მხნედ მოეველინა იმ დროს, როდესაც საბელმწიფო რამოდენადმე შერყეული იყო და ძლიერი ხელი

სკირდებოდა ცხოვრების დონეზე დასაყენებლად; მის მეფობაში რუსეთმა თითქმის თავის ბუნებრივ საზღვარს მიაღწია და დიდი კოლონიზატორული როლიც ითამაშა სამხრეთ რუსეთის დასახლებით.



ეკატერინე დიდი.

მთელი საუკუნოების განმავლობაში სამხრეთ რუსეთის გაუზომელი მიწდევრები რუსეთს ეკუთვნოდა და რუსეთის კანონს-კი არ ემორჩილებოდა. იქ სხვა-და-სხვა პატარა-ბარათომები ცხოვრობდნენ და, რადგანაც ერთ ადგილზე ბინადრობა არ ჰქონდათ, მათი დამორჩილება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ამ უდაბნოებში ჯარის წაყვანა ძლიერ



ძნელდებოდა. უამისოდ-კი სამხრეთ რუსეთის, ემარქვენი
ზღვის ჩრდილოეთის ნაპირის, დაპყრობა და დასახლება არ
შეიძლებოდა. ყველა ეს დიდის სისწრაფით შეასრულა ეკატე-
რინე მეორემ. სულ მოკლე ხანში დაცარიელებული უდაბნო-
ები აყვავებულ სოფლებად და ქალაქებად გადაიქცა, რადგან-
ნაც რუსეთის-შიერ ამ ქვეყნების დაპყრობის შემდეგ აქ მრავ-
ალი სომეხი, ბოლგარელი, ბერძენი და გერმანელი დასახლ-
და. ახლა-კი ამ ადგილებში ისეთი დიდი და მდიდარი ქალა-
ქებია, როგორც, მაგალითად, ოდესსა.

თვით რუსეთშიაც მტკიცედ ფეხი მოიკიდა ევროპიულმა
ცივილიზაცია რადგანაც თვით ეკატერინე მეორე ძლიერ
განათლებული ქალი იყო, მისი მაგალითი ყველასათვის მისა-
ბამავი გახდა და რუსეთის გადაკარგულ კუთხეებშიაც, სადაც
უწინ ევროპის სახელი არც-კი გაეგონათ, მემამულეების სასა-
ხლეებში გაჩნდა ევროპიული სახლის მოწყობილება, საოჯახო
წიგნსაცხეები და ვაჟრცელდა ფრანგული ენა. თვით მეფე თა-
ვის პირადი შრომითაც ძლიერ ხელს უწყობდა განათლების
განვითარებას რუსეთში. პირადად იცნობდა მაშინდელ ცნო-
ბილ ფალოსოფოსებს—ვოლტერს, დიდროს, მანტესქიეს და
მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან. ამათ აზრებს-კი მრავალ თხზუ-
ლებაში აღარებდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ცდი-
ლობდა მათი იდეალები განეხორციელებინა. მან მოიწვია
კრებაზე სხვა-და სხვა პროვინციის წარმომადგენელი, რომ მა-
თის დახმარებით და მათის რჩევით მოეხდინა რუსეთში რე-
ფორმა. სხვათა შორის იგი ბატონ-ყმობის გაუქმებასაც ცდი-
ლობდა. მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, რომ რუსეთს არ
შეეფერებოდა ყველა მის მიერ განზრახული რეფორმები, და
შეფემაც თავისი იდეალები ვერ შეასრულა. მაინც ცდილობ-
და, რამოდენადაც შესაძლებელი იყო, საზოგადოებას მიე-
ზიდინა სამუშაოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ და რადგანაც ამი-
სათვის მაშინ მომზადებული მხოლოდ თავად აზნაურობა იყო,
ჯერ მხოლოდ იმათ მისცა თვით-მმართველობა.

ამ შეფობის დროს რუსეთის საზღვარმა ერთი მხრით
ოსმალეთამდის მიადწია, მეორე მხრით — გერმანიასა
ავსტრიაშემდეგ (პოლონეთის შემოერთების შემდეგ) და გარდა



ალექსანდრე II განმათავისუფლებელი

ამისა რუსეთმა კავკასიაშიც მოიკიდა ფეხი, საქართველოს მე-
ფე ერეკლე მეორესთან ხელშეკრულობის ძალით.

ეკატერინე მეორის პოლიტიკას განაგრძობდა ალექსან-



ქართული
საბჭოთაო
აქადემია

დრე პირველი. ისიც ევროპის ცივილიზაციის დიდი მოწოდებელი იყო და ცდილობდა ევროპიული წესები შემოეღო რუსეთში—ხალხისათვის მიეცა უფლება კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებისა, რომ ამითი მთავრობისათვის დახმარება აღმოეჩინა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მაგრამ განგებამ სხვანაირად წაიყვანა რუსეთის საქმე. ალექსანდრე პირველი იძულებული იყო ნაპოლეონთან ეომნა. მის შეფობაში მოხდა იშვიათი გვირული სამამულიშვილო ომი რომლის შემდეგაც ალექსანდრე I მთელი ევროპა დაიხსნა მძლავრ მტრისაგან.

ნიკოლოზ პირველი მტკიცე ხასიათის და აუქჩარებელი გულის კაცი იყო გარდა ამისა ის რუსეთში იყო აღზრდილი და იმ აზრს ადგა, რომ ფართო რეფორმებისთვის და ევროპის წესწყობილების რუსეთში გადმორგვისათვის ეს უკანასკნელი ჯერ მზად არ არის. ამიტომ ის ცდილობდა რუსეთში გაემეგრებინა ყველა ის, რაც მას უკვე შეძენილი ჰქონდა და ესარგებლა საუკუნოებით მონაგარი შრომის ნაყოფით. მართლაც რუსეთმა მის დროს ძლიერ მოიმაგრა ფეხი და უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. ნიკოლოზ პირველი ევროპის საქმეებშიც კი ერეოდადა თავისებურად აწყობდა იქაურ საქმეებს. ბევრჯელ დაიხსნა მან გაჭირებისაგან სხვადასხვა ქვეყნები: მაგ. ავსტრია-ჰუნგარელების აჯანყებისაგან. მრავალჯერ დაამარცხა მან ოსმალეთიც და ეს ძველის ძველი ევროპის მტერი ძლიერ შეასუსტა. სამაგიეროდ მის შემდეგ ალექსანდრე მეორემ უკვე გამაგრებულ სახელმწიფოს შინაურ მართვა-გამგეობისათვის დაიწყო ზრუნვა და შექმნა ხანა დიდი რეფორმებისა. მთავრობამ საზოგადოებას, რომელიც უკვე საკმაოდ მომწიფდა და განვითარდა, ნდობა გამოუცხადა და მისცა უფლება ქვეყნის საკეთილდღეოდ შრომისა: მან გაანთავისუფლა გლეხობა ბატონ-ყმობისაგან, დააარსა ერობა, ნაფიცთა სამსახულო და საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოიღო. ესე იგი შემოიტანა ის წესწყო-

ბილგება, ურომლისოდაც კულტურული სახელმწიფო ვერ
გასძლებდა.



ახლანდელი იმპერატორი რუსეთისა ნიკოლოზ მეორე.

ამ იშვიათმა რეფორმებმა გამოიწვია ხალხის თვითმოქმე-
დება და განვითარება, რამაც ძლიერ წინ წასწია რუსეთი: გავრ-




ცელდა აღებ-მიცემობა, სხვა-და-სხვა დარგის წარმოება, გაიხსნა ქარხნები და რუსეთიც ნელ-ნელა ჩაერთა მსოფლიო ვაჭრობაში.

ამიტომ მისი კულტურული როლიც გაფართოვდა. უკულტურო მხარეებში, როგორც იყო, მაგალითად, ციმბირი, მან შეიტანა კულტურა. იქაც მოქალაქობრივი ცხოვრება განვითარდა და დღეს ვხედავთ, რომ იქ, სადაც რამდენსამე ას ვერსზე ველურთა ორიოდე მოსახლეობა ძლივს შეხვდებოდა კაცს, ახლა დიდრონი ქალაქებია; სოფლიადაც მეურნეობაა განვითარებული, საქონლის მოშენება და ერბო-კარაქის გაზიდვა შორეულ ქვეყნებში გასასყიდად.

ალექსანდრე მესამემ ამას ერთი უღიადესი ნაბიჯიც მიუმატა: გაიყვანა რკინის გზა რუსეთიდან მთელ ციმბირში. მართალია, ჯერ ამ რკინის გზას დიდი მნიშვნელობა არა აქვს ხალხისთვის: იგი უფრო სამხედრო მიზნით არის გაყვანილი, მაგრამ ახლო მომავალში აუცილებლივ ეკონომიურად ააყვავებს ქვეყანას.

ამგვარად რუსეთი რომანოვთა გვარეულობის მეფობაში დიდ როლს ასრულებს მსოფლიო ისტორიაში: იგი არის ცივილიზაციის გამავრცელებელი აღმოსავლეთ ქვეყნებში. ერთი მხრით იგი თვითონ ითვისებს ცივილიზაციას და ასრულებს ევროპიულ დემოკრატიულ რეფორმებს (იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ სახ. სათათბიროს დაარსებით დასრულდა ჯერჯერობით ეს რეფორმები) და მეორე მხრივ-ამ აზრებს და წესებს იგი ავრცელებს შორეულ ქვეყნებშიც.

რა თქმა უნდა, ხალხის განვითარებამაც ამის მეოხებით ძლიერ წინ წაიწია, რუსეთის ლიტერატურამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ბევრი ისეთი დიდი განძი შესძინა მსოფლიო ლიტერატურას, რომლის ბადალიც სულ ორიოდე არ მოიპოვება: მარტო ტოლსტოის და დოსტოევსკის სახელი საუკუნოდ დაუვიწყარი იქნება, ვიდრე არსებობს ადამიანი დედამიწის ზურგზე.





საქართველო.

რწმენანი და ჩვეულებანი.



ს ა ი ქ ი ო

შავთა წარმოდგენით საიქიო— „შავეთი“ ქვეყნის შუაგულშია. მართალთა სამყოფში მკრთალი ნათელია, ისეთი, ვით შზის ჩასვლისას გორების მწვერვალზე მკრთომი შუქი. ამისთანა შუქს ეძახიან .მკვდართა-მზეს.“ შავეთს ჩამოუღის შუაზე დიდი ხევი-

რომელშიაც მდინარებს ცეცხლ-მოდებული კუბრი. ხეზე გადებულია ბეწვის ხიდი; მართალი შშვიდობით გადადის, ცოდვილი ვარდება კუბრში, იწვის. მკვდრები იქ წელი, მისუტებული ხმით ლაპარაკობენ. (ვაჟა-ფშავე, ივერ. 1886. № 35).

ფშავეში მიცვალებულს ყველა საერთოდ გლოვობს, მის დასაფლავებამდე ყველა, თუნდ ნათესავიც არ იყოს, უქმობს. ყველა ჭირისუფლის თანამოზიარეა. დედაკაცებს შესაწევრად ჭირისუფლებისას მოაქვთ თითო ხშიადი, ჩარეკი არაყი და ზოგი საკლავითაც ეწევა. ტირილი ზარით იციან. კუბოში ჩასვენებამდე, მკვდარს ასვენებენ გარედ დერეფანში, ხოლო კარებში სდებენ უღელს, რადგანაც იმის მსახური იყო, და გვედრებიან: „ამ უღლის მადლო, შენ მიეცი საიქიოს მაგის სულს შეღავათი.“ მიცვალებულ მამაკაცს გვერდზე დაუყენე-



ბენ ხოლმე მის ცხენს, შვეკაზმულს, ხურჯინ-აკიდებულს, ხმამაღლა გზავროდ მომზადებულს. მიცვალებულს გულზე აწყვიტა ხმალი და ხანჯალი. მოტირალი ხმალს ან ხანჯალს ებჯინება ტარზე და თავის გადაქნევ-გადმოქნევით მოსთქვამს მდულარედ: „აღე, გეყოფა, ბიჭო, ძილი! ადე, სწორები მოგივიდნენ: ყურს აღარ გვიგდებს, გამწყრალია. ცოლი წაგივა მამის სახლში, ობლები ავტირდებიან, მამულები ავ ყამირდება.“ მერე საიქიოს აბარებს: „თუ სადა ნახო ჩვენი (სახელი უწინდელ მიცვალებულისა), უამბე ჩვენი გაჭირება, შიმშილ-წყურვილი, ბეჩაობა. დამარხვის დღეს ხალხი მარხულობს: სქამენ ოსპის, ცერცვის ან ლობიოს შექამადს. შაბათობით მთელ წლის განმავლობაში ქირისუფალს გამოაქვს მიცვალებულის ტანისამოსი და იარალი და დასტირის. მუდამ დღე სადილობისას მიცვალებულის წილს „შესდებენ სახელს:“ დიასახლისი ცეცხლით საესე საფბეცელს სუფრას თავზე ავლებს. ლოცულობენ, რომ ტაბლა მიუვიდეს და შეერგოს. საფლავზედაც ტაბლის მიტანა უხვად იციან (ივერ. 1886, № 35).

ინგილონი გვარსაც და საიქიოსაც ეძახიან **გორს** და სწამთ, რომ იქაც, ვით აქ, ხალხოსნობა დალაგებულ-დასახლებულია გორ-გორად (=გვარ-გვარად), ტომ-ტომად, მოდგმა-მოდგმად, და რომ ჰმართავს ყოველს გორს და ოჯახს მათი წარმომადგენელი, უფროსი წლოვანობითა, ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, ყოველი გარდაცვალებული იმარხებოდეს თავის გვარეულობის სამაროვანში. სხვაგან, უცხო ქვეყანაში დამარხულის სული სრულიად დაღუპულია საიქიოს, რადგან იქაც უცხოებაში რჩება ობლად, უნათესაო-უთვისტომოდ. საინგილოში თვით სასოფლო სასაფლაოებიც იმდენ ნაჭრად არის დაყოფილი, რამდენიც სოფელში გვარეულობაა ან დაუბანდ: რომ გორშიაც არ აირივნენ, იქაც ნათესავ-მეზობლობა ისე დალაგდეს, როგორც დალაგებულია აქ, ე. ი. გვარ-გვარეულად, უბან-უბნად, სოფელ-სოფლად. თვით გორი, ინგილო-

თა წარმოდგენით, არის ერთი უმშვენიერესი ხეობა, შემქმნელი აყვავებული ველებით, ვენახებით, წალკატებით, იგი სავსეა ცხვარით, აგრედვე ფრინველით. იქაურობას ანათებს მზე, მაგრამ მერთალად, ისეთი სინათლით, როგორცაა მზის ჩასვლის დროს. ყოველის გვარის წინ შლია სუფრა, სავსე ათასგვარ ხორაგეულით. ეს ის ხორაგეულობაა, რომელიც მათთვის გაიმეტეს და აკურთხეს მათმა კოცხლებმა, მათმა სააქაოს ნათესავებმა. იქაური ცხვარიც აქ მათთვის შეწირული ცხვრებია, იქაური ძროხაც კოცხალთა მიერ მათთვის დაკლული ზვარაყებია. იქ ხარობს ყველა, მხოლოდ ვერ ხარობენ ისინი, რომელნიც სიღარიბეში დაიხოცნენ და ან უშთამომავლოდ მათთვის შეძლენ, მექელეხე არ დარჩა და ამიტომ მათ წინ გაშლილი სუფრაც კარიელია. და ეს დიდი უბედურებაა და ამას იგი შესჩივის ყველა სულელებს: „არა შეგზავნება რაო! სორცხვილით ვიწვიო!“ იქ არ არის რისამე სესხება. ჰამა არ იციან. ძღვებიან მხოლოდ ხორაგის ობშივარით, სურნელოვანებით. იციან მზიარულობაც: ქორწილი, დაკვრა, აღწრსი და სხვ. მათი ქორწილი მაშინაა, როდესაც სააქაოს გარდაიცვლება მათი ჯვარ-დასაწერად გამზადებული ნათესავი—სამეთოთუ საპატარძლო.

გორის (საიჭიოს) შესავალში არის ფისის ტბა, რომელზედაც გადადებულია ცალფეხა ხიდი. ხიდს უსვია კარაჭი. კაცის ერთგული ძაღლი მკედარს წინ უღლის, კარაჭს ლოკავს ენით, რომ პატრონი მშვიდობიანად გადაიყვანოს გორში, მაგრამ მას უკან მიჰყვება კატა, რომელიც ალოკილ ხიდს თავის კუდით სითხეს აგლეხავს, რომ ხიდზე შემდგარ კაცს დაუსხლტეს ფეხი და ფისის ტბაში ჩავარდეს. ამ გაჭირებით მართალნი მაინც გადადიან, ხოლო ცოდვილნი ძირს ცვივიან. ხიდს იქით ნაპირზე არის გორში შესასვლელი კარები. აქ დგას კოდვა-მართლის გამომცნობელი და ამწონელი. იგი სასწორის ერთ თვალში სდებს „მართალს“ და მეორეში „კოდ-

ვას: " დასძლევს „მართალი“ და მკვდარიც მიდის სასუფეველში, დაიწვევს ცოდვა, შიაბრუნებენ კაცს ჯოჯოხეთისკენ.

ამიტომაც დიდი მზრუნველობა და მოვლა უნდებოდა მკვდრის სულს.

რაწამს ავადმყოფის სულს „მოვა და წაიღებს პეპელა,“ მის გვამს შეასწორებენ, თავით დაუდგმენ ხელადით ღვინოს, ჭიკით წყალს, ჯამით ხორბალს და დაულაგებენ უკეთესს საცმელს. ხორბლის ჯამზე ანთებენ სამ სანთელს. შემდეგ, დამარხვის წინად ჰბანენ, აცმევენ ახალ სამოსელს, საკმეველით შეხელილ ტილოს ადებენ პარზე და გულზე, ცხვირის ნესტოებში უცობენ საკმეველის კოშტებს, მარცხენა ხელში უდებენ ფულს და მარჯვენაში მომწვარ სანთელს. ყველა ამ ნივთს თავის დანიშნულება აქვს: ხორბალი მკვდარს გამოადგება თესლად მის საიჭიო ხოდაბუნების დასათესად, ღვინო და წყალი წყურვილის მოსაკვლელად, ფული—გორის მეკარის დასაჯილდოებლად, სანთელი—გზის გასაშუქებლად.

სასაფლაოზე ინგილოები მკვდარს მიასვენებენ ტირიფის ხის საკაცით, რომელსაც მდიდრად რთავენ.

საკაცეს რომ ასწევენ და სასაფლაოსკენ გაემართებიან, ერთი პატარა ბიჭი ხელში იღებს ქვას, მკვდრისაკენ ზურგშექცეული დგება, გადისვრის მისკენ ქვას მოთქმით: „შენი წილი აქ აღარა დაგრჩენია-რა, წაა, დაგვეხსენ ჩვენა.“

ეს მოთქმა დაფუძნებულია რწმენაზე, რომ მკვდართა სული მარად რჩება წინანდელ თვის სახლ-კარში და უხილავად იღებს მონაწილეობას ყოველ საოჯახო ღვინოსა და ჭირში. ამიტომაც მისთვის იმართება „ტაბლები,“ „სულის პურები,“ „საკმლის ჩაყრა“ და სხვა წესები. ამას გარდა, ორმოცის დღის განმავლობამდე მისთვის სუფრაზე ყოველ დღე ინიშნება ცალკე წილ-კერძი და მას იგონებენ ცხონებას უსურვებენ, რომ არ გაუჭირდეს საიჭიოს, უკვლენ ცხვარს, ღარიბებს ურიგებენ ფულს, საკმელს, საფლავის თავით უხარებენ ხეხილს, რომ

მის საყვარელ ხილზე თვალი არ დარჩეს. თუ წესები არ შეუსრულეს, მკვდარი გაუწყრებათ და მოუვლენთ ავადმყოფობას და სხვა უბედურებას. მძიმე ცოდვილებს მიწა არც-კი იკარებს, იგინი ხალისდებიან, მგელ-კაცად იქცევიან და ქვეყნას რისხვად ევლინებიან.

მეტად პოეტურია ინგილოთა წარმოდგენა საიქიოში ჩვილთა ყოფა-მდგომარეობის შესახებ. იმათთვის იქ არის დიდი ტბა, რძით სავსე. ტბის შუაგულს აღზრდილა ფართოდ გადაშლილი ლეღვის ხე. ამ ხის ტოტებზე სხედან ჩვილთა სულელები, თევთვობენ, ქიკვიკობენ, მხიარულობენ. როდესაც მოშივიათ, ხე დაიხრება ტბის პირამდე, ჩვილნი დაეწაფებიან. დალევენ რძეს, გაძლებიან და ხეც ისევ აიშართება და უძიწვილებიც ისევ შეუდგებიან ქიკვიკ-გალობას.

მხოლოდ ბერძენთა ლეგენდის ტანტალი, ძე ზევსისა და პლუტონისა და მამა პელოპისისა და ნიობეის, მეფე ფრიგიელთა, რომელსაც ჯოჯობეთის წყალი ტუჩებამდის სწვდებოდა, ვერ ეღირსა შიმშილის მოკვლას იქაურ ხილით და წყლის დაღვას იმ წყლისაგან, რომელშიაც იდგა ღმერთთა გარდაწყვეტილებით: რომ დაიწვედა დასაღვეად, წყალი დაბლა მიდიოდა, რომ აიწვედა, წყალიც იწევდა. ასეთი მიესაჯათ ტანტალი სთვის სასჯელი ღმერთებს, რადგან მან თავისი შვილი დაჰკლავდა მისი ხარკით გაუმასპინძლდა ღმერთებს.

სახოვადოდ, ჩვენებური წარმოდგენა საიქიოს შესახებ საკვირვლად ჰგავს უცხოელებისას, თვით ველურ ხალხების წარმოდგენასაც ამავე საიქიოს შესახებ. ტეილორს, სპენსერს და სხვ. მეცნიერებს მოჰყავთ განსაკუთრებლად ერთნაირი აღწერილობა სხვა-და-სხვა ხალხების წარმოდგენისა შესახებ საიქიოსი. ფიჯიელებს სწამთ: საიქიოს მკვდრებს ოჯახები აქვთო, მოჰყავთ მცენარეები, ოშობენო, იბრძვიანო, ისე ცხოვრობენ იქ, როგორც სააქაოს, საქმელი, რომელიც იქ მიუღიით სააქაოდან, უკეთესი და ბლომად აქვთო. სხვა ხალხების რწმენით,



იქ მკვდრები არა თუ სკამენ, ლოთობენ კიდევცაო. მანდასა და მანდასა ში ცოლი არას დროს არ ივიწყებს თავის ქმარ-შვილს. მოწმენდილ დღეში ყოველ საათს დედაკაცები მკვდარ ქმრების კენჩხოებს (ქალას) ესაუბრებიან ტკბილის ხმით და დარწმუნებულნი არიან, პასუხს იძლევიან მიცვალებულნიო.

უფრო მეტი მზგავსება აქვს ჩვენ წეს-ჩვეულებებს უწინდელ ეგვიპტელების ამგვარსავე წეს-რწმენასთან. ვადარებთ.

გამოეთხოვება-რა ტანს სული, მიდის იგი ქვესკნელს, საიქიოს. მას მიჰყვება პეპელა. ღელარქნილებს გადის ძაფის შემწეობით და შედის სასამართლოში, სადაც ელიან მას გორუსი (მზე) და ოზირისი (ქვესკნელის ღმერთი). მის გულს სდებენ სასწორზე, რომელიც უკავია თუთას, სიბრძნისა და სიმართლის ღმერთს. აუ გულმა დასძლია, მაშინ გასამართლებული აღებს კარს და შედის კერ-ნეტერში, მკვდართა ქვეყანას (ღენორმანი, 171—173, 176=178).

— ეს პეპელა, ძაფის ხიდი, ცოდვა-მადლის აწონა, საიქიოს კარები და სხვ., როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ჩვენ გადმოცემებშიაც იგივეა, რაც ეგვიპტურში.

კერ-ნეტერი ნაყოფიერი ადგილია. მას ხვნიენ მკვდრები, სთესვენ ხორბალს, მკიან, ლეწვენ. ცხოვრება მათი სამარადისო მზიარულებაა (მასპერო, გვ. 123). მკვდართა სულნი, გადავლენ რა ტბას, თუ გამართლდნენ, მიდიან სასუფეველს, საცა გულს იგრილებენ ცხოველის წყლით, ჰკრეფენ ხილს ხეებიდან. მზიარულობენ, იცინიან, ნეტარებენ (ვებერი, 1, 165—1691).

ჩვენებური წარმოდგენაც ხომ ასეთივეა.

საშინელებანი მოელის ბოროტ კაცს ჯოჯოხეთს იქით მხარეს, რომელიც სავსეა გველებით, დათხრილია ცხელი წყლის ნაკადულებით (მასპერო, 123).

(იხილე ზევით ჩვენებური წარმოდგენაც ამავე საიქიოს შესახებ.)



მკვდარი საფლავიდან გამოდის, თუ დააკლდა საფლავიდან — სოფლად. იგი ღამ-ღამე დაწინწალებს სოფლიდან — სოფლად. ასეთი სიღარიბის და ხელმოკლეობის გამო მასში იბადება მძულვარება კოცხალ ნათესავეთაღმი, რომელთაც იგი დაივიწყებს; იგი დაეცემა ხოლომე მათ, სტანჯავს, უვლენს სწულვებას, ქირს (მასპერო, 121).

(ასევე ლაპარაკობენ ჩვენშიაც. იხ. ზემოდ)

ხარს, კატას ეგვიპტეში თაყვანს სცემენ. სახლს თუ წაეკიდებოდა ცეცხლი, უწინარეს ყოვლისა ცდილობდნენ კატა ეხსნათ. თუ დაიღუპებოდა ცეცხლში, დიდად სწუხდნენ. კატის სიკვდილს ჰგლოვობდნენ. წარბების მოპარსვით დამარხავდნენ დიდ ზეიმით. ვისმე კატა რომ შემოაკვდებოდა, სცემდნენ, აჯარიმებდნენ. მათთვის ცალკე სახლები ჰქონდათ აგებული (ვებერი, 1, 160 — 163):

ხარის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი, ხოლო კატის თაყვანისცემის ნიშნად ჩვენში დარჩენილა ჩვეულება კატის ხელში აყვანიტ დაფიცვა საგვარეულო სალოცავში (ფშავ.). მისვე საღმთობას მოასწავებს რწმენა, რომ კატის მკვლელობა ცოდვისაგან გა აწმენდად ცხრა საყდარი უნდა ააგოსო.

კატის გაღმერთება იმან გამოიწვია, რომ მისი თვალები და ბეწვი სიბნელეში ანათებენ ცეცხლივით და ცეცხლი-კი ყველგან ღმერთად მიაჩნდათ.

ძნელია კაცმა სთქვას, ესეთი მზგავსება ეგვიპტელთა და ქართველთა რწმენისა რას მოასწავებს. მართლა იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ ბერძენთა მწერლები *), ეგვიპტელები

*) ჰეროდოტე (480—426 ქრ. წ.) კოლხთა ჩვეულებასა და ენაშიაც დიდ ერთობას ჰხედავს, მაქ ისიც გაუგია, რომ კოლხები ფარაო რამზეს ლაშქრის ნაშთიაო. კალლიმახი (260—280 ქრ. წ.) ამბობს: „კოლხები ეგვიპტელთა ჩამომავალნია.“ პერიეგეტი (90 ქრ. წ. შ.): „კოლხნი მოსულან ეგვიპტიდან.“ მარკელინი (330 ქ. შ.): „კოლხები ეგვიპტელით ჩამომავალნია.“




და ქართველთა წინაპარნი (კოლხნი) მონათესაენი იყვნენ, და მათგან უნდა იყოს, რომ ესეთი მზგავლება შეჰფერის ყველა ხალხებში წყნე ჩვეულებათა ერთობას საზოგადოდ.

ყველა ჩამოთვლილი ჩვენებური რწმენა მკვდართა და საიქიოს შესახებ უნდა იყოს შედეგი აგნატიურ წეს-წყობილებისა.

ერს სწამს, რომ სიკვდილი არ სპობსო ცხოვრებას და რომ საიქიო არსებობაშიაც სულთ აქეთო იგივე მოთხოვნილებანი, ვით ცოცხლებსაც. ამიტომაც გვაროვნებითი წყობილება მონართულია დასაკმაყოფილებლად არა მხოლოდ ცოცხალთა, არამედ მკვდართაც, მთელი გვარეულობა ეომება ყოველივეს (კაცს, პირუტყვს, მცენარეს ქვას), რაც განზრახ თუ შემთხვევით, შეიქმნა მიზეზად მის ანუ მის წევრთა დანაკლისისა. ცოცხალთა და მკვდარ მოგვარეთა შორის მკიდრო განწყობილებაა.

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).





შ ა რ ა ლ ა .

(წარმოდგენილი პ. ნიორაძის-მიერ.)


I

ბხერის ჯოგს, ვინდა მცირე ფულსა
მცირე ქალაქი მიადგი,
ძველთა მეფის სახელს იტყვი,
ეგვიპტისკენ ფეხი ვადგი.



II

ერთი,—თავის დასაცველად,
ჰქონდა უწინ მეომარსა,
მეორე—ტყეს ჰქმნის ტყეშია,
(უბმო შეუცვალე თავსა);
მესამე—მინდორ-ვაკვა,
არ აფერხებს იგი ქარსა,
ერთად—გულშივი კაცია
მოერიდე იმის გვარსა.



ს ე ბ უ ს ი .



ს ს
ს ი



ლ
ე



”

” 40 ”

ს
ე



”
ე



”

რ
ე



ლ
ე



”
ე



პ
ნ ი ნ



”

მე-3 №-ში მოთავსებულ ჩაბუსის აღსნა:
სწავლბა ბნელის ფარონი, სწავლბა ცხოვრების სიღია.